

# თიბისი ბანკის ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
და აუდიტორული დასკვნა

2008 წლის 31 დეკემბერი

**სარჩევი**

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება  
კონსოლიდირებული ბალანსი----- 1  
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება----- 2  
საკუთარი კაპიტალის ცვალებადობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ----- 3  
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება----- 5

**კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების შენიშვნები**

1 შესავალი----- 5  
2 ჯგუფში არსებული გარემო----- 5  
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა----- 6  
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები გამოყენებით  
სააღრიცხვო პოლიტიკაში----- 17  
5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება----- 19  
6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები----- 19  
7 ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტი----- 23  
8 მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ ----- 24  
9 მომხმარებელთა სესხები და ავანსები----- 25  
10 გასასაღებელი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები----- 30  
11 დაფარვამდე (ვადის გასვლამდე) დაკავებული საინვესტიციო  
ფასიანი ქაღალდები----- 31  
12 სხვა ფინანსური აქტივები----- 31  
13 ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში----- 32  
14 სხვა სახის აქტივები----- 32  
15 უძრავი ქონება, მოწყობილობა და არამატერიალური აქტივები----- 33  
16 გუდვილი ----- 34  
17 ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ ----- 35  
18 კლიენტთა ანგარიშები----- 35  
19 ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი----- 36  
20 სხვა ფინანსური ვალდებულებები----- 37  
21 სხვა სახის სასესხო საშუალებები----- 37  
22 სუბორდინირებული ვალი----- 38  
23 სააქციო კაპიტალი----- 38  
24 აქციის მიხედვით გადასახადი----- 39  
25 სხვა რეზერვები----- 39  
26 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი----- 40  
27 საკომისიო შემოსავალი და ხარჯი----- 40  
28 სხვა საოპერაციო შემოსავალი----- 41  
29 აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები----- 41  
30 საშემოსავლო გადასახადები----- 41  
31 ფინანსური რისკის მართვა----- 43  
32 კაპიტალის მართვა----- 51  
33 მოთხოვნები და დამატებითი ვალდებულებები----- 52  
34 დერივატივული ფინანსური საშუალებები----- 53  
35 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება----- 54  
36 ფინანსური ინსტრუმენტების კლასთა შეთანხმება საზომი კატეგორიებით----- 55  
37 დაკავშირებული მხარის გარიგებები----- 56  
38 ბიზნეს გაერთიანებები ბიზნეს გაერთიანებები----- 58  
39 სააღრიცხვო წლის დასასრულის შემდგომი მოვლენები----- 58

## დამოუკიდებელ აუდიტორთა მოხსენება

თიბისი ბანკის ჯგუფის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

- 1 ჩვენ ჩავატარეთ თიბისი ბანკის ჯგუფის და მისი შვილობილი კომპანიების (“ჯგუფი”) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამებასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

- 2 ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: კონსტრუირებას, შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების იმგვარად მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რომ იგი არ მოიცავდეს უზუსტობებს, გამოწვეულს თაღლითობითა თუ შეცდომით; სათანადო ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას, აგრეთვე არსებულ გარემოებათა შესაფერისი ჯეროვანი ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

- 3 ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გავცეთ დასკვნა ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წავმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ დავიცვათ ეთიკური ნორმები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მოვიპოვოთ საფუძველიანი რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.
- 4 აუდიტი მოიცავს პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე აუდიტორული მტკიცებულობების მოპოვების მიზნით. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგების თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებაზე. რისკის ამგვარი შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც საჭიროა საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიან წარდგენისათვის, რათა შეიმუშავოს გარემოებათა შესაბამისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოთქვას მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკის შესაბამისობისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული მიზანშეწონილობის შეფასებას, აგრეთვე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.
- 5 მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისს და შესაბამის საფუძველს ქმნის, ჩვენი აუდიტორული დასკვნის შესადგენად.

### **დასკვნა**

- 6 ჩვენი აზრით, ზემოთაღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა ასპექტში, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულად ნაკადებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2009 წლის 25 მაისი

**PricewaterhouseCoopers Central Asia and Caucasus B.V.**  
**საქართველოს ფილიალი**

**თიბისი ბანკის ჯგუფი**  
**კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება**

	შენიშვნები	2008 წლის 31 დეკემბერი	2007 წლის 31 დეკემბერს
<i>ქართულ ლარში ათასეული</i>			
<b>აქტივები</b>			
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები	7	355,746	169,240
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	8	47,770	95,587
მომხმარებელთა სესხები და ავანსები	9	1,288,042	1,128,701
გასასაღებელი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10	4,729	5,219
მიმდინარე საშემოსავლო გადასახადის წინასწარი გადახდა		3,922	6,808
დაფარვამდე დაკავებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	11	21,207	114,596
სხვა ფინანსური აქტივები	12	4,284	18,671
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	13	23,766	19,579
სხვა სახის აქტივები	14	14,899	20,611
უძრავი ქონება და მოწყობილობა	15	160,502	118,170
არამატერიალური აქტივები	15	5,439	2,199
გუდვილი	16	2,020	758
<b>მთლიანი აქტივები</b>		<b>1,932,326</b>	<b>1,700,139</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	17	29,510	92,356
კლიენტთა ანგარიშები	18	844,822	779,539
სხვა სახის სასესხო საშუალებები	21	708,443	433,042
მოგების გადავადებული გადასახადის დავალიანება	30	1,441	13,786
დავალიანებებისა და ხარჯებისათვის საქონლის მარაგი	19, 33	5,324	1,098
სხვა ფინანსური ვალდებულებები	20	3,004	3,962
სხვა ვალდებულებები		6,474	7,965
სუბორდინირებული დავალიანება	22	75,819	55,881
<b>საერთო ვალდებულებები</b>		<b>1,674,837</b>	<b>1,387,629</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	23	11,700	11,700
საემისიო შემოსავალი	23	138,748	138,131
გაუნაწილებელი მოგება		69,089	126,722
სხვა რეზერვები	25	32,787	35,385

ბანკის აქციის მფლობელებთან დაკავშირებული წმინდა აქტივები	252,324	311,938
უმცირესობის წილი	5,165	572
<b>საერთო საკუთარი კაპიტალი</b>	<b>257,489</b>	<b>312,510</b>
<b>საერთო ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>	<b>1,932,326</b>	<b>1,700,139</b>

დამტკიცებული გამოსაცემად და ხელმოწერილი დირექტორთა საბჭოს მიერ 2009 წლის 25 მაისს

პაატა ლაზაძე  
მთავარი აღმასრულებელი დირექტორის  
სახელით  
მთავარი აღმასრულებელი დირექტორის  
პირველი მოადგილე  
**ხელმოწერილია**

ვანო ბალიაშვილი  
მთავარი აღმასრულებელი დირექტორის  
მოადგილე

**ხელმოწერილია**

[5-დან 58-ე] გვერდამდე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

**კონსოლიდირებული საშემოსავლო უწყისი**

	შენიშვნა	2008 წელი	2007 წელს ხელახლად დამტკიცებული
<i>ქართულ ლარში ათასებში</i>			
საპროცენტო შემოსავალი	26	295,523	171,672
საპროცენტო ხარჯი	26	(122,810)	-81,353
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>172,713</b>	<b>90,319</b>
სესხების დანაკარგების რეზერვი	9	(195,592)	(26,494)
<b>წმინდა საპროცენტო ხარჯი) / წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის დანაკარგების რეზერვის შემდეგ</b>		<b>(22,879)</b>	<b>63,825</b>
საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით	27	32,407	25,579
საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით	27	(5,060)	(4,227)
უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს გამოკლებული ხარჯი		26,201	17,052
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებულ შემოსავალს გამოკლებული ხარჯი		4,114	(1,115)
გასაყიდი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაცემა	10	-270	-

გასაყიდი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების  
მართვიდან მიღებული მოგება

	10	6,319	191
(რეზერვი)/კრედიტთან დაკავშირებული საქმეების მოგვარებისათვის საჭირო (რეზერვი) ამოღება	19	(4,226)	992
სალიზინგო მოთხოვნების გაუფასურება (რეზერვი)/სხვა გარიგებებისათვის საჭირო რეზერვის ამოღება	15	(2,202)	(250)
		(665)	1,059
სხვა საოპერაციო შემოსავალი	28	6,028	5,026

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოკავშირეთა დანაკარგის წილი	29	(107,017)	(65,408)
		-	(1,174)

---

<b>დაბეგვრამდე არსებული (ზარალი)/მოგება</b>		<b>(67,250)</b>	<b>41,550</b>
საშემოსავლო გადასახადი (ხარჯი)/კრედიტი	30	9,683	(9,873)

---

<b>წლის (ზარალი)/მოგება</b>		<b>(57,567)</b>	<b>31,677</b>
-----------------------------	--	-----------------	---------------

---

(ზარალი)/მოგება დაკავშირებული ბანკის აქციის მფლობელები		(57,634)	31,460
უმცირესობის წილი		67	217

---

<b>წლის (ზარალი)/მოგება</b>		<b>(57,567)</b>	<b>31,677</b>
-----------------------------	--	-----------------	---------------

**საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული უწყისი**

ქართულ ლარში ათასებით	შენი შენა	ბანკის აქციის მფლობელებთან დაკავშირებული				უმცირესობის წილი	საერთო საკუთარი კაპიტალი	
		სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	სხვა სახის რეზერვები (შენიშენა 24)	გაუნაწილე ბეღი მოგება			
<b>2006 წლის 31 დეკემბერს წინასწარ დამტკიცებული ბალანსი</b>		<b>5,385</b>	<b>4,715</b>	<b>10,003</b>	<b>100,156</b>	<b>120,259</b>	<b>355</b>	<b>120,614</b>
ხელახალი მტკიცებულების შედეგები	3	-	4,894	-	(4,894)	-	-	-
<b>2006 წლის 31 დეკემბერს XELAXLAD DAMTKICEBULI BALANSI</b>		<b>5,385</b>	<b>9,609</b>	<b>10,003</b>	<b>95,262</b>	<b>120,259</b>	<b>355</b>	<b>120,614</b>
უძრავი ქონებების გადაფასება	15			29,126		29,126	-	29,126
საკუთარი კაპიტალის საშემოსავლო გადასახადი	30	-	-	(3,744)	-	(3,744)	-	(3,744)
საკუთარ კაპიტალში უშაულოდ ალიარებული წმინდა მოგება		-	-	25,382	-	25,382	-	25,382
წლის მოგება – ხელახლად დამტკიცებული		-	-	-	31,460	31,460	217	31,677
წლის საერთო ალიარებული შემოსავალი- ხელახლად დამტკიცებული		-	-	25,382	31,460	56,842	217	57,059
აქციათა ემისია გადახდა აქციის მიხედვით	23	6,145 170	127,447 1,075	- -	- -	133,592 1,245	- -	133,592 1,245

**2007 წლის 31  
დეკემბერს  
ხელახლად  
დამტკიცებული  
ბალანსი**

**11,700    138,131    35,385    126,722    311,936    572    312,510**

გასაყიდი ინვესტიციები:

-რეალური ღირებულების მოგება ზარალის გამოკლებით	10, 25	-	-	7,889	-	7,889	-	7,889
- მართვა	25	-	-	(6,319)	-	(6,319)	-	(6,319)
უძრავი ქონების გადაფასების შედეგად გამოწვეული ღირებულების დაცემა	15, 25	-	-	(7,554)	-	(7,554)	-	(7,554)
ვალუტის გადაფასების სხვაობები		-	-	2,439	-	2,439	837	3,276
საკუთარ კაპიტალში ნაწიგნები	25, 30	-	-	947	-	947	-	947
საშემოსავლო გადასახადი		-	-	-	-	-	-	-

საკუთარ კაპიტალში  
უშაულოდ  
აღიარებული წმინდა  
მოგება

		-	-	(2,598)	-	(2,598)	837	(1,761)
წლის ზარალი		-	-	-	(57,634)	(57,634)	67	(57,567)

წლის საერთო  
აღიარებული  
ზარალი

		-	-	(2,598)	(57,634)	(60,232)	904	(59,328)
--	--	---	---	---------	----------	----------	-----	----------

გადახდა აქციის  
მიხედვით  
კომპანიის  
გაერთიანებები

	24	-	617	-	-	617	-	617
	38	-	-	-	-	-	3,689	3,689

**2008 წლის 31  
დეკემბრის ბალანსი**

**11,700    138,748    32,787    69,089    252,324    5,165    257,489**



	შენიშვნა	2008წ	2007 წ ხელახლად დამტკიცებული
<i>ქართულ ლარში ათასობით</i>			
<b>მიმდინარე საქმიანობებში ნაღდი ფულის მიმოქცევა</b>			
მიღებული პროცენტები		281,221	167,048
გადახდილი პროცენტი		(119,964)	(73,913)
მიღებული გადასახადები და საკომისიოები		32,411	25,579
გადახდილი გადასახადები და საკომისიოები		(5,059)	(4,227)
უცხოურ ვალუტაში კომერციული საქმიანობისას მიღებული მოგება		26,201	16,954
სხვა სახის მიღებული საოპერაციო მოგება		9,725	1,683
დაფარული ანაზღაურების ხარჯები		(50,072)	(33,645)
დაფარული ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(36,506)	(27,077)
მიღებული/(გადახდილი) საშემოსავლო გადასახადი		1,337	(10,730)
<b>მიმდინარე საბრუნავ აქტივებსა და პასივებში ცვლილებების დაფიქსირებამდე საოპერაციო საქმიანობებიდან (მოსმარებული) ნაღდი ფულის მიმოქცევა</b>		<b>139,294</b>	<b>61,672</b>
<b>ცვლილებები საბრუნავ აქტივებსა და პასივებში</b>			
სხვა ბანკების შენატანების წმინდა (ზრდა)/კლება		33,224	(16,111)
მომხმარებელთა სესხებისა და ავანსების წმინდა ზრდა		(346,251)	(575,732)
იჯარის ინვესტირების წმინდა (ზრდა)/კლება		(6,389)	(4,500)
სხვა ფინანსური აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება		12,943	(17,703)
სხვა აქტივების წმინდა ზრდა		(2,677)	(9,636)
სხვა ბანკების სახსრების წმინდა ზრდა/(კლება)		(62,846)	51,902
კლიენტთა ანგარიშების წმინდა ზრდა		60,328	226,742
სხვა ვალდებულებების წმინდა კლება		(3,351)	(662)
<b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>(175,725)</b>	<b>(284,028)</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობებიდან ნაღდი ფულის მიმოქცევა</b>			
გასასაღებელი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექენა	10	(110)	(1,716)
გასასაღებელი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების მართვით მიღებული შემოსავალი	10	8,219	1,087
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექენა დაფარვამდე	11	(190,059)	(709,190)
დაფარვამდე საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვით მიღებული შემოსავალი	11	283,454	644,847
უძრავი ქონების, მოწყობილობებისა და არამატერიალური აქტივების შექენა	15	(44,067)	(42,129)

უძრავი ქონების, მოწყობილობებისა და  
 არამატერიალური აქტივების მართვით მიღებული  
 შემოსავალი  
 შექმნილი ნაღდი ფული

15 2,529 26  
 12,320 -

**წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან 72,286 -107,075**

**ფინანსური საქმიანობებიდან მიღებული ნაღდი ფულის  
 მიმოქცევა**

სხვა სასესხო საშუალებებიდან მიღებული შემოსავალი

21 889,722 420,758

სხვა სასესხო საშუალებების დაფარვა

21 (626,401) (194,590)

სუბორდინირებული ვალით მიღებული შემოსავალი

22 19,234 30,126

**ჩვეულებრივი აქციების გაცემა**

- 137,879

**ფინანსური საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ნაღდი  
 ფული**

**282,555 394,173**

სავალუტო კურსის ცვლილებების ასახვა ნაღდ ფულსა  
 და ნაღდი ფულის ექვივალენტებზე

7,390 (1,015)

**ნაღდი ფულისა და ნაღდი ფულის ექვივალენტების  
 წმინდა ზრდა**

**186,506 2,055**

წლის დასაწყისისათვის ასახული ნაღდი ფული  
 და ნაღდი ფულის ექვივალენტები

**169,240 167,185**

**წლის ბოლოსათვის ასახული ნაღდი ფული და ნაღდი  
 ფულის ექვივალენტები**

**7 355,746 169,240**

## 1. შესავალი

2008 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილი ფინანსური უწყისები, მომზადებული იქნა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თიბისი ბანკისა („ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიებისათვის (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“ ან „თიბისი ბანკის ჯგუფი“).

1992 წლის 17 დეკემბერს ბანკი გაერთიანდა და დაიმკვიდრა ადგილი საქართველოში. ბანკი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, ლიმიტირებულს აქციებით, რომლის დაფუძნება მოხდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2007 და 2008 წლების, 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მთავარი მაკონტროლებელი პირები იყვნენ, ბ. მამუკა ხაზარაძე და ბ. ბადრი ჯაფარიძე, რომლებმაც ბანკის სააქციო კაპიტალის საერთო წილის 66%-ს პირდაპირი და არაპირდაპირი ფლობით შესძლეს მოეხდინათ საერთო კონტროლი. მათ შორის სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები: საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, გერმანიის ინვესტიციები და გერმანიის საინვესტიციო კომპანია *DEUTSCHE Investitions* და *Entwicklungsgesellschaft MBH*.

**ძირითადი საქმიანობა.** ბანკის ძირითადი საქმიანობა შემოიფარგლება კომერციული და წვრილი საბანკო საქმეებით საქართველოში. 1993 წლის 20 იანვრიდან ბანკი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული („სებ“) ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

ბანკს აქვს გახსნილი 13 (2007:13) ფილიალი და 43 (2007: 29) სერვის ცენტრი საქართველოში. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰყავდა 2,925 თანამშრომელი (2007:1,965 თანამშრომელი)

ბანკი წარმოადგენს საქართველოში და აზერბაიჯანში რეგისტრირებული მთელი რიგი კომპანიების („ჯგუფი“) დამაარსებელ კომპანიას, ხოლო ძირითადი ბიზნეს საქმიანობები კი მოიცავს, საბანკო, საიჯარო, საბროკერო, ბარათის დამუშავების მომსახურებებს, კორპორატიულ და ინდივიდუალურ მომხარებელთათვის. ჯგუფში არსებული კომპანიების ჩამონათვალი მოცემულია 3 შენიშვნაში. ბანკი წარმოადგენს ჯგუფის ძირითად სამოქმედო ბაზას და პასუხს აგებს ჯგუფის უმეტეს საქმიანობაზე.

**რეგისტრირებული მისამართი და კომპანიის ადგილმდებარეობა.** ბანკის რეგისტრირებული მისამართია: თბილისი, 0102, საქართველო, მარჯანიშვილის ქ. № 7.

**წარდგინების ვალუტა.** მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ათასებით ქართულ ლარში („ათასობით ლარი“), თუ არ არის სხვაგვარად მითითებული.

## 2 ჯგუფში არსებული გარემო

**საქართველო.** საქართველო წარმოაჩენს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ თავისებურებებს, ვალუტის არსებობის ჩათვლით, რომლის კონვერტაცია არც ისე თავისუფლად ხდება საქართველოს გარეთ არსებულ უმეტეს ქვეყნებში, ასახული შედარებით მაღალი ინფლაციითა და ეკონომიკური ზრდით.

ნეგატიური ცვალებადობები სარგრძობლად მოქმედებს საქართველოს საბანკო სექტორზე, მის ნდობასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საბანკო სექტორისადმი საქართველოს ეკონომიკა ზოგჯერ კარგავს ნდობას, ლიკვიდურობის შემცირებით. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონთან დაკავშირებით არსებობს მრავალგვარი ინტერპრეტაცია, რაც ასევე ხშირად აისახება ცვლილებებით. ამას გარდა, გაკოტრების კანონების საჭიროება, რეგისტრაციისათვის საჭირო დამკვიდრებულ პროცედურათა არარსებობა და საწინდარის მოთხოვნა, ასევე სხვა კანონიერი და ფისკალური დამაბრკოლებელი საშუალებები იწვევს იმ გართულებულ მდგომარეობებს, რასაც დღესდღეობით განიცდიან საქართველოში მოქმედი ბანკები.

გასულ წლებში მიმდინარე საკმაოდ დადებითი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, 2008 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი მეოთხე კვარტალში, საქართველოს ბაზრის ფინანსური მდგომარეობა საგრძობლად გაუარესდა. 2008 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, სავალუტო ბაზარი განიცდიდა ცვალებადობის ზრდას, რასაც მოჰყვა ქართული ლარის დაცემა, ძირითად უცხოურ ვალუტებთან შედარებით. 2008 წლის აგვისტოში საქართველოში მომხდარ სამხედრო კონფლიქტს მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის უარყოფითი მოვლენები. საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობის მომავალი დიდად არის დამოკიდებული ევექტიან ეკონომიკურ ზომებზე, რომლებიც მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ, ასევე კანონიერ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ ნაბიჯებზე, რაც არ კონტროლდება ბანკის მიერ.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბანკო სექტორში შეუძლებელია ეკონომიკური ტენდენციებისა და განვითარების წინასწარი განსაზღვრა, ხოლო საქართველოს საბანკო სისტემაში შესაძლო ლიკვიდურობისა და ნდობის დაცემის შემთხვევა, როგორც აისახებოდა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე.

## 2 ჯგუფში არსებული გარემო (გაგრძელება)

**გლობალურ და საქართველოს ფინანსურ ბაზრებში თანამედროვე ცვალებადობა.** მიმდინარე გლობალური ლიკვიდურობის კრიზისი, რომელიც დაიწყო 2007 წლის შუა პერიოდში სხვა გარემოებების გარდა აისახა კაპიტალის ბაზრის დაფინანსების დაბალი დონით, საბანკო სექტორში ლიკვიდურობის დაბალი დონეებით, ასევე ზოგჯერ მაღალი ბანკთაშორისი სესხის პროცენტითა და კაპიტალისა და სავალუტო ბაზრების ძალზედ მაღალი ცვალებადობით. გლობალური ფინანსური ბაზრების განუსაზღვრელობამ, ასევე გამოიწვია ბანკების წაგება, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ ევროპაში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში ბანკი ინარჩუნებს მის მდგომარეობას. მიმდინარე ფინანსური კრიზისის მთლიანი გავლენის წინასწარ განჭვრეტა ან მთლიანი არიდება ძალზედ რთული იქნებოდა. მასიური დაფინანსების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა 2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული. მსგავსმა გარემოებებმა შესაძლოა ჯგუფს შესაძლებლობა მისცეს, ახალი კრედიტების აღებისა და მისი არსებული კრედიტების ხელახალი დაფინანსების, იმავე ვადებითა და პირობებით, როგორცაც ადგილი ჰქონდა წინა გარიგებებში. ჯგუფის მსესხებლებს შესაძლოა შეეხოს ლიკვიდურობა, რაც აისახებოდა მათ შესაძლებლობებზე, გადაეხადათ დაკისრებული თანხები. მსესხებელთა სამუშაო პირობების გაუარესება შესაძლოა ასახულიყო მენეჯმენტის ნაღდი

ფულის მიმოქცევის პროგნოზირებითა და შეფასებით, ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაკარგვით. გარკვეულწილად შესაძლებელია ინფორმაციის მიღება, მენეჯმენტის მიერ სათანადოდ იქნა შემოწმებული მოსალოდნელი ნაღდი ფულის მიმოქცევის შეფასებები, დაკავშირებული დანაკარგის შეფასებასთან.

სესხების დანაკარგების რეზერვის ოდენობა წარმოდგენილია მენეჯმენტის ამ აქტივთა შეფასებებით, ნაღდი ფულის მიმოქცევის გათვალისწინების შემდეგ, საბალანსო უწყისის წარდგენის დღისათვის, რამაც დამხმარე ნაწილთა შექენასა და გასაღებაზე, შესაძლოა გავლენა იქონიოს დაბალი ღირებულებების უფლების დაკარგვით. სულ ახლახანს განვითარებული გლობალური ფინანსური ბაზრების ცვალებადობამ უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ბაზრის მრავალ კუთხეზე, მათ შორის დამხმარე საშუალებებსა და უძრავ ქონებაზე, რასაც მოჰყვა გარკვეული ტიპის აქტივთა ლიკვიდურობის დაბალი დონე. შედეგად, უფლების დაკარგვის რეალური ღირებულება შესაძლოა, განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რაც მოცემულ იქნა სესხის დანაკარგის რეზერვების შეფასებისას.

აქტიურ ბაზარზე ქვოტირებული ინვესტიციების რეალური ფასები დამოკიდებულია მყიდველის მიერ შემოთავაზებულ ფასებზე (ფინანსური აქტივები) და შეთავაზებულ ფასებზე (ფინანსური ვალდებულებები). ფინანსური ინსტრუმენტებისათვის თუ არ არსებობს აქტიური ბაზარი, ამ შემთხვევაში შეფასების მეთოდების გამოყენებით, ჯგუფი ადგენს რეალურ ღირებულებას. ეს უკანასკნელი გამოიყენებს სულ ახლახანს მომხდარ კომერციულ გარიგებებს, ნაღდი ფულის მიმოქცევის დისკონტირებულ ანალიზს, ფასწარმოქმნის ოფციის მოდელს და სხვა სახის შეფასების საშუალებებს, გამოყენებულს ბაზრის მონაწილეების მიერ. გაზომვის დღისათვის, შეფასების მოდელი ასახავს ბაზრის მიმდინარე პირობებს, რაც შეიძლება არ იყოს წარმომადგენლობითი ბაზრის პირობებისა, ან გაზომვის მომენტამდე ან მის შემდეგ. საბალანსო უწყისის წარდგენის დღეს, მენეჯმენტმა გადახედა მდგომარეობას, რათა დარწმუნებულიყო იმაში, რომ შესაბამისად ხდება მიმდინარე ბაზრის მოვლენების ასახვა, ბაზრის შედარებითი ლიკვიდურობისა და საკრედიტო სპრედის ჩათვლით. გლობალურ ფინანსურ ბაზრებში თანამედროვე ცვალებადობის გამო, უარყოფითად აისახა მრავალი სახის უძრავი ქონების მდგომარეობა საქართველოს ბაზარში. რეალურად, ბასს 16-ს (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების) შესაბამისად რეალური ღირებულების მიხედვით გაზომილი მიწისა და შენობების საბალანსო ღირებულება შეიცვალა, რათა ანგარიშგების თარიღისათვის ასახულიყო ბაზრის მდგომარეობა. ამას გარდა, კლიენტთა სესხები და ავანსები, რომელთა ანაზღაურება დამოკიდებულია გირაოს რეალიზაციაზე, ხელახლად იქნა შეფასებული დაგირავებული აქტივების განახლებული რეალური ღირებულებების საფუძველზე. შედეგად, 2008 წელს ბანკმა აჩვენა სესხის დაკარგვის მნიშვნელოვანი დარიცხვა. იხილეთ შენიშვნა 9.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსური ბაზრების ლიკვიდურობის, სავალუტო ბაზრების და საფონდო ბირჟების გაზრდილ ცვალებადობასთან დაკავშირებით, ჯგუფის მომავალი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყოველ საჭირო ზომას, იმისათვის რათა მიმდინარე გარემოში ხელი შეეწყოს ჯგუფის საქმიანობას, მისი გამყარებითა და ზრდით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

**შედგენის საფუძველი.** წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, ისტორიული ღირებულებებით, შეცვლილი როგორც უძრავი ქონების გადაფასებით, გასასაღებელი ფინანსური აქტივებით, რეალური ფასის თანახმად ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებით, ასევე შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებითა და ვალდებულებებით, მიღებული კომპანიის გაერთიანებით, გაზომილი მათი რეალური ფასის მიხედვით შექმნილი დღისათვის და იმ ფინანსური ინსტრუმენტებით, რომლებიც იყოფა რეალური ფასით მოგებასა და ზარალს შორის. ქვემოთ მოცემულია წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში მოთხოვნილი ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა შესაბამისად გამოყენებულ იქნა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ არ არის სხვაგვარად მითითებული (იხილეთ შენიშვნა 5).

**მოქმედი ორგანო.** მოქმედი ორგანოს საფუძველზე მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშები. გაურკვეველობის შემთხვევაში იხილეთ შენიშვნა 4, იმ გარკვეულ შემთხვევებსა და პირობებსზე, რამაც შესაძლოა ეჭვი შეიტანოს ჯგუფის მოღვაწეობის გაგრძელების შესაძლებლობაში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები.** შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ იმ კომპანიებსა და ორგანიზაციებს, რომელშიც ჯგუფი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ერთნახევარზე მეტ ხმის უფლებების წილს, ან სხვა მხრივ რომ ვთქვათ, უფლებამოსილია მართოს ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა, რათა მიიღოს მოგება. თუ ჯგუფის მიერ კონტროლირდება სხვა ორგანიზაცია, ამ შემთხვევაში პოტენციური ხმის უფლებების არსებობა და გავლენა, ამჟამად გამოყენებადი და კონვერტირებადი მიიღება შეფასებისას. შვილობილი კომპანიები იმ დღიდან არიან გაერთიანებული, როდესაც ჯგუფს დაევალა კონტროლირება (შექმნის თარიღი), ხოლო როდესაც წყდება კონტროლი, იმ მომენტიდან ხდება მათი დაშლა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მოიცავს შემდგომ ძირითად შვილობილ კომპანიებს:

	2008 წლის 31 დეკემბერი საკუთრება /ხმის მიცემა,%	2007 წლის 31 დეკემბერი საკუთრება /ხმის მიცემა,%	ქვეყანა	გაერთიანების ან შექმნის თარიღი	საწარმო
<b>შვილობილი კომპანია</b>					
სს თიბისი იჯარა შ.პ.ს. თიბისი კრედიტი	89.53%	90.00%	საქართველო	2003	იჯარა არასაბანკო საკრედიტო დაწესებულება
შ.პ.ს. თიბისი ბროკერი სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია	100.00%	100.00%	საქართველო	1999	საბროკერო საქმიანობა
	90.81%	90.81%	საქართველო	1997	ბარათის დამუშავება

შესყიდვის მეთოდი აღრიცხვაში გამოიყენება შვილობილი კომპანიების შესყიდვების შესამოწმებლად. წარმოდგენილი აქტივების რეალური ფასით იზომება შექენის ღირებულება, ასევე გამოიყენება გაცემული კაპიტალის ინსტრუმენტები და გაცვლის თარიღისათვის დარიცხული ან მიღებული ვალდებულებები, ამას დამატებული შექენასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები. გაცვლის თარიღი მიიჩნევა შექენის თარიღად, როდესაც ერთი გარიგებით ხდება კომპანიის გაერთიანება და წარმოადგენს თითოეული აქციის შესყიდვის თარიღს, როდესაც კომპანია ერთიანდება თანდათანობით, აქციათა თანმიმდევრული შესყიდვით.

ყოველი გაცვლითი გარიგება, მყიდველის აქციაზე შესყიდვის ღირებულების ზრდა, მყიდველი კომპანიის რეალური ფასის, წმინდა აქტივების არამატერიალური აქტივებით აისახება. ღირებულებით მიღებული იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა სამართლიან ფასში მყიდველის წილის ზრდა („ნეგატიური გუდვილი“) დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

შექენილი იდენტიფიცირებადი აქტივები, ასევე ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები მიღებული კომპანიის გაერთიანებით იზომება მათი მოპოვების მომენტიდან რეალური ფასის მიხედვით, მიუხედავად ნებისმიერი უმცირესობის წილისა. გაცვლის თარიღისა და მიღების თარიღისათვის, წმინდა აქტივთა რეალურ ფასებს შორის სხვაობა (არსებობის შემთხვევაში), პირდაპირ აისახება კაპიტალში.

ჯგუფი ფლობს 50%-ზე მეტ ხმის უფლებას გაერთიანებულ საფინანსო კორპორაციაში, International Limited, თუმცა მთლიანობაში აღნიშნული ორგანიზაციის ინვესტირება და საქმიანობები წარმოდგება ჯგუფის ფინანსური ანგარიშების არამატერიალურ საგნად და შესაბამისად, აღნიშნული შვილობილი კომპანია არ არის კონსოლიდირებული.

ადგილი აქვს კომპანიებს შორის არსებული ტრანსაქციების, ბალანსებისა და არარეალიზირებული მოგების აღმოფხვრას; შეუსრულებელი დანაკარგი ასევე აღმოიფხვრება, თუ არ არის შესაძლებელი ფასის ანაზღაურება. ბანკი და ყველა მისი შვილობილი კომპანია სარგებლობენ ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით.

უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიის წმინდა შედეგებისა და წმინდა აქტივების ნაწილს, იმ პროცენტებთან დაკავშირებულს, რომელიც არ შედის ბანკის პირდაპირ ან არაპირდაპირ საკუთრებაში. უმცირესობის წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკეულ კომპონენტს.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**

**მოკავშირეები.** მოკავშირეები წარმოადგენენ იმ პირებს, რომელზეც გარკვეულ გავლენას (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ფლობს ბანკი, კი არ აკონტროლებს, არამედ 20-დან 50 %-მდე აქციის ხმის მიცემის უფლებით გამოირჩევა. მოკავშირეებში ინვესტიციების დაბანდება ხდება კაპიტალის სააღრიცხვო მეთოდით, რომლებიც დასაწყისში მიიჩნევა თვითღირებულების მიხედვით. მოკავშირეთა საბალანსო ღირებულება მოიცავს ნაკლებად აკუმულირებული დანაკარგების დაკლების მიღებით არამატერიალურ აქტივს, არსებობის შემთხვევაში. შექენის შემდეგ მოკავშირეთა მოგებისა და ზარალის ჯგუფის წილი მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში, ხოლო

რეზერვები კი მოიცავს მის მიღების შემდეგ მოძრაობების წილს რეზერვში. როდესაც მოკავშირესთან ჯგუფის წილის დანაკარგი უთანაბრდება ან აჭარბებს მოკავშირეში მის პროცენტს, სხვა ნებისმიერი დაუფარავი დებიტორული დავალიანებების ჩათვლით, ჯგუფი არ აღიარებს სხვა დანაკარგს, თუ დაერიცხა ვალდებულებები ან უზრუნველყო ანაზღაურება მოკავშირის სახელზე.

ჯგუფის მოკავშირეებთან გაზიარებული წილის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფსა და მის მოკავშირეთა შორის არსებულ გარიგებათა არარეალიზებული მოგება აღმოიფხვრება; არარეალიზებული დანაკარგიც ასევე აღმოიფხვრება იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა არ გვიჩვენებს მოცემული აქტივის დანაკარგის მტკიცებულებას.

**ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები.** მათი კლასიფიკაციის თანახმად, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება ქვემოთ აღნიშნულის შესაბამისად რეალური ფასით, ღირებულებით ან ამორტიზირებული ხარჯით.

რეალური ფასი წარმოდგება იმ რაოდენობით, რათა შესაძლებელი იყოს აქტივის გაცვლა, ან ვალდებულების საკითხის მოგვარება, გაგებულ და მოსურნე მხარეებს შორის კომერციული გარიგებით. რეალური ფასი წარმოადგენს მყიდველის მიმდინარე ფასს, ფინანსური აქტივებისა და არსებული გამყიდველის ფასისათვის, რათა დაკმაყოფილდეს აქტიურ ბაზარზე ქვოტირებული ფინანსური ვალდებულებები. ნეიტრალიზირებადი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რეალური ფასის დასადგენად, რისკის ოფციის ნეიტრალიზირებისათვის, ჯგუფის მიერ გამოყენებული შეიძლება იქნას საშუალო ზომის ფასები და შესაბამისად მოხდეს მყიდველის ან გამყიდველის ფასის შეთავაზება რისკის ქვეშ მყოფი ქსელისათვის. აქტიურ ბაზარში, ფინანსური ინსტრუმენტი მიიჩნევა დადგენილად, თუ დადგენილი ფასები რეგულარულად მზად არის წარსადგენად ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებებიდან, ხოლო აღნიშნული ფასები კი კომერციული გარიგებების თანახმად, წარმოადგენენ რეალურ და რეგულარულად მოქმედ საბაზრო საქმეებს.

შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ნაღდი ფულის მიმოქცევის მოდელები ან ახლახანს განვითარებული კომერციული გარიგებების ან ინვესტიციის მიმდებარე ფინანსური მონაცემების მიღების შესაბამისი მოდელები, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი შეფასებისათვის, რადგანაც არ მიიღება საგარეო ბაზრის შეფასების ინფორმაცია. შეფასების მეთოდებმა შეიძლება მოითხოვოს გარკვეული დაშვებები, რაც არ არის წარმოდგენილი შესამჩნევ საბაზრო მონაცემებში. თუ ადგილი ექნება ნებისმიერი სახის დაშვებათა ცვლილებებს, დაკავშირებულს კეთილგონივრულ ალტერნატივასთან, რაც აისახებოდა მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგებით, შემოსავლით, საერთო აქტივებით ან საერთო ვალდებულებებით, ამ შემთხვევაში მთლიანად წარმოდგინდება აღნიშნული ფინანსური ანგარიშები.

ხარჯი წარმოადგენს დაფარულ ნაღდ ფულსა თუ მის ექვივალენტებს, ან სხვა საქმეთა სამართლიან ფასს აქტივთა შესაძენად მათი დაუფლებისას, რომელიც მოიცავს საოპერაციო ხარჯებს. თვითღირებულების მიხედვით გაზომვა გამოიყენება მხოლოდ, საქმიანი ინსტრუმენტების ინვესტიციებში, ბაზრის დადგენილი ფასის გარეშე, რომლის რეალური ფასის რეალური დადგენა არ



არის შესაძლებელი, ასევე დერივატივები/წარმოებული, რომლებიც დაკავშირებულია და უნდა მოგვარდეს მსგავსი არაქვოტირებული საქმიანი ინსტრუმენტების მიწოდებით. იხილეთ შენიშვნა 10.

*საოპერაციო ხარჯები* წარმოადგენს ზრდად/დამატებით ხარჯებს, პირდაპირ დაკავშირებულს ფინანსური ანგარიშების, მიღებასთან, გაცემასა და მართვასთან. ზრდადი ხარჯი წარმოადგენს იმ ხარჯს, რომელიც არ იქნებოდა გამოწვეული, თუ არ მოხდებოდა ოპერაცია. საოპერაციო ხარჯები მოიცავს აგენტებისათვის (გაყიდვების აგენტის სახით მომუშავე მუშაკის ჩათვლით), მრჩეველთათვის, მაკლერთათვის და დილერებისათვის გადახდილ გადასახადებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და ბირჟების ბეგარას, ტრანსპორტირების გადასახადებსა და ვალდებულებებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის ხარჯებს.

*ამორტიზირებული ხარჯები* წარმოადგენს იმ ოდენობას, რომლითაც იქნა აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტი საწყისი აღიარებისას, ნებისმიერი ძირითადი ხელახალი გადასახადების გარდა, პლიუს დარიცხული პროცენტი, ხოლო რაც შეეხება ფინანსურ აქტივებს, ნებისმიერი არსებული ფასის დაკლების შედეგად მიღებული ზარალის ჩამოწერისათვის. დარიცხული პროცენტი მოიცავს, საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას, დაყოფილებულ საწყისი აღიარებით, ნებისმიერი პრემიითა და ფასდაკლებით ინვესტიციის ღირებულებაზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული პროცენტის შემოსავალი და დარიცხული პროცენტის ხარჯი, როგორც დარიცხული შემოსავალი და საამორტიზაციო დისკონტირება ან პრემია (არსებობის შემთხვევაში, წარმოშობისას გადავადებული გადასახადების ჩათვლით) არ იქნა ცალკე წარმოდგენილი, რაც მოცემულია მასთან დაკავშირებული ბალანსის აღწერების საბალანსო ღირებულებაში.

*ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი* წარმოადგენს იმ მეთოდს, როდესაც შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ხდება საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განთავსება, ისე რომ საბალანსო ღირებულებაზე, მუდმივი პერიოდის განაკვეთი იქნას მიღწეული (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოდგება იმ განაკვეთით, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ნაღდი ფულის გადახდების ან ფულადი შენატანების (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში ან გაცილებით მოკლე პერიოდში, შესაბამისობის შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა საბალანსო ღირებულებით. წარმოდგენილი ღირებულების გამოანგარიშება მოიცავს გარიგებასთან დაკავშირებულ ყოველ გადასახადს, გადახდილს ან მიღებულს მხარეთა შორის, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (იხილეთ შემოსავლისა და ხარჯის აღიარების პოლიტიკა).

**ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება.** მოგებითა და ზარალით რეალურ ფასში არსებული სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, დერივატივები/წარმოებული და სხვა სახის ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აისახება რეალური ფასით, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით. საწყისი აღიარებისას რეალური ფასი ყველაზე კარგად აისახება საოპერაციო ღირებულების დახმარებით. საწყისი

აღიარებისას მოგება ან ზარალი აისახება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სხვაობა სამართლიან ფასსა და საოპერაციო ფასს შორის, რაც მსგავსი საშუალებით ან შეფასების მეთოდით, რომლის ხარჯები მოიცავს მხოლოდ ხილული ბაზრების მონაცემებს, შეიძლება აისახოს სხვა შესამჩნევი მიმდინარე ბაზრის გარიგებებით.

ყოველი ფინანსური აქტივების შესყიდვა და გასაღება, რომლის მიწოდება მოითხოვება გარკვეული დროის ინტერვალის განმავლობაში, დადგენილი წესდებისა და ბაზრის კონვენციის მიხედვით („შემდგომი დღისათვის შესასრულებელი საქმეები” შესყიდვები და გასაღებები) აღინიშნება ყიდვა-გაყივის დღისათვის, რაც წარმოადგენს ჯგუფის საქმიანობის თარიღს, მოახდინოს ფინანსური აქტივის მიწოდება. ყველა დანარჩენი შესყიდვები და გასაღებები რომლის მიწოდება მოითხოვება გარკვეული დროის ინტერვალის განმავლობაში, დადგენილი წესდებისა და ბაზრის კონვენციის მიხედვით („შემდგომი დღისათვის შესასრულებელი საქმეები” შესყიდვები და გასაღებები) აღინიშნება ყიდვა-გაყივის დღისათვის, რაც წარმოადგენს ჯგუფის საქმიანობის თარიღს, მოახდინოს ფინანსური აქტივის მიწოდება. ორგანიზაციის სახელშეკრულებო დოკუმენტში გაფორმებისთანავე მიიღება ყოველი სხვა დანარჩენი შესყიდვა.

**ფინანსური აქტივების ჩამოწერა.** ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების ჩამოწერას მაშინ, როდესაც (ა) აღნიშნული აქტივების გამოსყიდვას აქვს ადგილი ან აქტივების ნაღდი ფულის მიმოქცევის უფლებებს ვადა გასდის ან (ბ) ჯგუფის მიერ მოხდა ფინანსური აქტივების ნაღდი ფულის მიმოქცევის უფლებების გადაცემა ან ადგილი ჰქონდა გარიგებას, მეორადი გადახედვის სახით (ი) როდესაც ასევე ადგილი აქვს ძირითადად აქტივთა საკუთრების ყოველი რისკისა თუ ანაზღაურების გადატანას ან (იი) არსებითად აქტივთა საკუთრების ყოველი რისკისა თუ ანაზღაურების არც გადაცემას და არც დაკავებას და არც კონტროლის არსებობას. კონტროლირებას მაშინ მიმართავენ, როდესაც მეორე მხარეს არ შეუძლია აქტივთა მთლიანი გასაღება მის მესამე დაუკავშირებელ მხარეს მიმართ, გასაღებაზე დამატებითი შეზღუდვების გამოყენების საჭიროების გარეშე.

**ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები.** ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები წარმოადგენენ საჭირო ოდენობით სწრაფად კონვერტირებად ერთეულებს, რაც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებათა უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ თანხას, საქართველოს ეროვნული ბანკში („სებ”) დაკისრებულ თანხას, სავალო რეზერვთა გარეშე, ასევე ყოველ ბანკთაშორის განთავსებას, სამ თვეზე ნაკლები პერიოდის საწყისი დაფარვის ვადით. დასაწყისშივე შეზღუდული ფონდები, სამ თვეზე მეტი ხნის ვადით გამოირიცხება ნაღდი ფულისა და ნაღდი ფულის ექვივალენტებისგან. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

**სავალდებულო ფულადი სახსრების ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკთან მიმართებაში.** სავალდებულო ფულადი სახსრების ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკთან მიმართებაში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, რომლებიც წარმოადგენენ სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომლების საშუალებითაც ვერ ხდება ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დაფინანსება, შესაბამისად კონსოლიდირებული ნაღდი ფულის

მიმოქცევის ანგარიშის დანიშნულებებისათვის არ მიიჩნევიან ნაღდი ფულისა და ნაღდი ფულის ექვივალენტების ნაწილად.

**სავაჭრო ფასიანი ქაღალდები.** სავაჭრო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ იმ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც გამოიყენება ფასის ან მოვაჭრის არეალის მოკლევადიანი მერყეობით მოგების მისაღებად, ან პორტფელში არსებულ ფასიან ქაღალდებს, სადაც არსებობს მოკლევადიანი სავაჭრო სტრუქტურა. ჯგუფი ახდენს ფასიან ქაღალდთა კლასიფიცირებას სავაჭრო ფასიანი ქაღალდებით, თუ განზრახულია მათი შესყიდვისთანავე მოკლე პერიოდში გასაღება. ე.ი. სამი ან ექვსი თვის განმავლობაში. ამ კატეგორიის გარდა არ ხდება სავაჭრო ფასიან ქაღალდთა ხელახალი კლასიფიცირება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იცვლება ჯგუფის განზრახვები.

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ფასდება რეალური ღირებულების მიხედვით. სავაჭრო ფასიანი ქაღალდებით მიღებული პროცენტი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით წარმოდგენილია კონსოლიდირებულ სამემოსავლო დეკლარაციაში, როგორც საპროცენტო შემოსავალი. სხვა საოპერაციო შემოსავლებთან ერთად, დივიდენტებიდან მიღებულ შემოსავალში შედის დივიდენტებიც, თუ ჯგუფს უფლება აქვს მიიღოს დივიდენტის გადასახადი და შესაძლებელია დივიდენტთა აკრეფა. ჩამოწერის სხვა დანარჩენი ელემენტები, რეალური ფასისა და მოგებისა თუ ზარალის ცვლილებებზე აისახება მოგებასა თუ ზარალში, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდებით შემოსავალს გამოკლებული ხარჯი, მათი წარმოშობის პერიოდისათვის.

**მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ.** როდესაც ჯგუფი გასცემს ფულს სხვა პარტნიორ ბანკებს კომერციის განზრახვის გარეშე, რასაც მოჰყვება არაქვოტირებული არადერივატირებული/არაწარმოებული მიღებადი გადასახადები დანიშნული ან განზრახული თარიღებისათვის, ამ დროს აისახება სახსრები სხვა ბანკებში. სახსრები სხვა ბანკებში აისახება ამორტიზირებულ ღირებულებით.

**საკრედიტო პორტფელი.** მომხმარებელთა სესხები და ავანსები აისახება მაშინ, როდესაც ჯგუფი გასცემს თანხას, არაქვოტირებული არადერივატირებული/არაწარმოებული მიღებადი გადასახადის ასაღებად ან წარმოსაშობად, გადასახდელი დანიშნული ან განზრახული თარიღებისათვის და არანაირი განზრახვა არ აქვს მიიღოს რამე მოგება. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. როდესაც ადგილი აქვს ნეგატიური ფინანსური აქტივების თაობაზე ხელახალ მოლაპარაკებას და ხელახალი მოლაპარაკების ვადები და პირობები საკმაოდ განსხვავდება წინა ვადებისგან, ამ შემთხვევაში მიიღება ახალი აქტივი რეალური ღირებულებით.

**ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების დანაკარგი.** გაუფასურებული დანაკარგები მიიჩნევა მოგებად ან ზარალად, როდესაც გამოწვეულია იმ ერთი ან მეტი შემთხვევისგან („დანაკარგის შემთხვევა“) არსებული ფინანსური აქტივების თავდაპირველი მიღებისას, რამაც ასახვა ჰპოვა მომავალი ნაღდი ფულის მიმოქცევის ფინანსური აქტივის პერიოდზე ან იმ ფინანსურ აქტივთა ჯგუფზე, რაც საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული. თუ ჯგუფი მიიჩნევს, რომ არ არსებობს ობიექტური მონაცემები, რის გამოც იქნა გამოწვეული დანაკარგი, ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, ეს უკანასკნელი მოიცავს იმ ფინანსურ აქტივთა ჯგუფში არსებულ აქტივს, რომელიც მსგავსი საკრედიტო რისკის მატარებელია და დაცემასთან დაკავშირებით ახდენს მათ კოლექტიურ

შეფასებას. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი რასაც აკვირდება ჯგუფი არის ის, თუ აღინიშნება ფინანსური აქტივის დანაკარგი, მისი გადაცილებული მდგომარეობის გამო და მასთან დაკავშირებული საწინდარის/გირაოს რეალიზებადობა, არსებობის შემთხვევაში. ასევე გამოიყენება სხვა დანარჩენი ძირითადი კრიტერიუმები, რათა განისაზღვროს ობიექტური მონაცემების არსებობა, რამაც განაპირობა გაუფასურებელი დანაკარგი:

- ნებისმიერი მორიგი შესატანი ვადას გადაცილებულია და დაგვიანებული გადახდა არ შეიძლება ჩაითვალოს, იმ გადავადებად, რაც გამოწვეული იქნებოდა მარეგულირებელი სისტემით;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სიძნელეს, ნაჩვენები მსესხებლის იმ ფინანსური ინფორმაციით, რაც ბანკის ხელთაა;
- მსესხებელი ითვალისწინებს ბანკროტს ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- ეროვნულ ან ადგილობრივ ეკონომიკაში ცვლილებების არსებობით, რაც გავლენას ახდენს მსესხებელზე, რაც იწვევს მსესხებლის გადახდის სტატუსის უარყოფით ცვლილებას;
- ბაზრის პირობების გაუარესებით, მნიშვნელოვნად მცირდება გირაოს ღირებულება;

დანაკარგის/გაუფასურების კოლექტიური შეფასებისათვის, მსგავსი საკრედიტო რისკის თავისებურების საფუძველზე, ფინანსური აქტივები ერთ ჯგუფში ერთიანდება.

წარსული შემთხვევის თანახმად, დაკავშირებული დანაკარგებთან, ხდება გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასებული, ფინანსური აქტივების ჯგუფში გაერთიანებული მომავალი ნაღდი ფულის მიმოქცევის შეფასება. წარსული შემთხვევა რეგულირდება მიმდინარე შესამჩნევი მონაცემის საფუძველზე, რათა აისახოს მიმდინარე მდგომარეობა, რასაც არ ქონია ასახვა გასულ პერიოდებზე და აღმოიფხვრას გასული შემთხვევები, რაც რეალურად არ აისახება ამჟამად.

თუ ხელახლად არის მოგვარებული ან სხვაგვარად გარდაქმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ვადები, მიღებული საამორტიზაციო ფასით, მსესხებელის ან გამსესხებლის გართულებული ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ვადების შეცვლამდე, გაუფასურება ფასდება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოიყენებით.

გაუფასურებული დანაკარგი ყოველთვის აღინიშნება რეზერვით, რათა აქციის საბალანსო ფასი ჩამოიწეროს, მოსალოდნელი ნაღდი ფულის მიმოქცევის არსებულ ღირებულებამდე (რომელიც გამორიცხავს იმ მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომლებიც არ იყო გაწეული), დისკონტირებული აქციის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. დაგირავებული ფინანსური აქტივის მომავალი ნაღდი ფულის მიმოქცევის შეფასება ასახავს, იმ ნაღდ ფულთა მიმოქცევას, რაც შეიძლება აისახოს უფლების დაკარგვით, საწინდარის ფლობისა და გასაღების ღირებულების გარდა, არის თუ არა მოსალოდნელი გამოსყიდვის უფლების დაკარგვა.

თუ შემდგომ პერიოდში, ფასის გაუფასურებელი დანაკარგი გაიზრდება, და ეს ზრდა დაკავშირებული იქნება იმ გარემოებაზე, რომლის შემდეგაც აღიარებული იყო დაკარგვა (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), წარსულში აღნიშნული გაუფასურებელი დანაკარგი, ითიშება გირაოს საკითხის რეგულირებით, მოგებისა თუ ზარალის საშუალებით.

უიმედო აქციები ჩამოიწერება აღნიშნული გაუფასურებელი დანაკარგის საწინააღმდეგოდ, მას შემდეგ როდესაც აქციების ინკასირებისათვის ყველა საჭირო ზომა იქნება გატარებული და განისაზღვრება დანაკარგის ოდენობა.

**მფლობელობაში დაბრუნებული უზრუნველყოფა.** მფლობელობაში დაბრუნებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ჯგუფის მიერ გადაგადაცილებული სესხების ანგარიშსწორებით შექმნილ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს. აქციების თავდაპირველი აღიარება ხდება, მათი შექმნის მომენტიდან რეალური ფასის მიხედვით, მოცემული უძრავ ქონებასა და მოწყობილობაში, სხვა აქტივებთან ერთად, სხვა ფინანსური აქტივები და ინვენტარი, მათი თავისებურებისა და ჯგუფის განზრახვის მიხედვით, დაკავშირებული მოცემულ აქტივთა აღდგენასთან, ხელახლად ფასდება და აღირიცხება მოცემული ტიპის აქტივთა სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

**სავალუტო კურსთან დაკავშირებული კონტრაქტები.** ჯგუფი იღებს სავალუტო კურსთან დაკავშირებული ვალდებულებებს, აკრედიტივისა და ფინანსური გარანტიების ჩათვლით. ფინანსური გარანტიები წარმოდგება უცვლელი გარანტიებით, რათა იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ვერ აკმაყოფილებს მის ვალდებულებებს, გადაუხადოს მესამე მხარეებს გადასახადები და სესხის მსგავსი საკრედიტო რისკებით მოქმედებდეს. სესხის უზრუნველსაყოფი ფინანსური გარანტიები და საქმიანობები, თავდაპირველად მიიღება მათი რეალური ფასით, რაც ზოგადად აისახება მიღებული გადასახადების რაოდენობით. ამ თანხის ამორტიზირება ხდება თანაბრად, საქმის მსვლელობის განმავლობაში, იმ საქმიანობების გარდა, როდესაც ადგილი აქვს სესხების წარმოქმნას, თუ არის მოსალოდნელი ჯგუფის მიერ სესხის გარიგების წარმოება, და მისი წარმოქმნიდან მცირე ხანში არ მოხდება არსებული სესხის გასაღება; მსგავსი სესხის ვალდებულების საკომისიოები შეჩერებული და ჩართულია სესხის რეალური ფასის მიხედვით მათი საწყისი აღიარებისას. თითოეული საბალანსო უწყისის წარდგენის თარიღისათვის გარიგებები ფასდება საწყისი აღიარებისას თანხის არაამორტიზირებული ბალანსის მიხედვით (ი) და (იი) საბალანსო უწყისის წარდგენის თარიღისათვის გარიგების დასაღებად საჭიროა ხარჯების საუკეთესო შეფასება.

**გასაყიდი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.** წარმოდგენილი კლასიფიკაცია მოიცავს იმ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, რომლის დაკავება სურს ჯგუფს განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში, რაც შესაძლოა გაიყიდოს საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსებსა თუ აქციის ფასების ლიკვიდირების ან ცვლილების საჭიროებისათვის. ჯგუფი ახდენს ინვესტიციათა კლასიფიცირებას, როგორც გასაღების მომენტისათვის გასაყიდად არსებულს.

გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მიიღება რეალური ფასის მიხედვით. სასესხო ფასიანი ქაღალდების გასასაღებლად არსებული საპროცენტო შემოსავალი გამოიანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ასახული მოგებასა და ზარალში. გასაყიდი

საქმიანი ინსტრუმენტების დივიდენტები აისახება მოგებასა თუ ზარალში, როდესაც ჯგუფის მიერ ასაღები გადასახადის მიღების უფლება დგინდება და მოსალოდნელია დივიდენტთა აღება. რეალური ფასის სხვა დანარჩენი ელემენტების ცვალებადობა აისახება აქციაში დაყოვნებით, მანამ არ იქნება ინვესტიცია უარყოფილი ან დაკარგული, როდესაც საერთო მოგება ან ზარალი გამოიქვითება აქციიდან, ასახული მოგებასა და ზარალზე.

გაუფასურებული დანაკარგები აისახება მოგებასა თუ ზარალში, რაც გამოიწვევა ერთი ან მეტი შემთხვევისგან („წაგების შემთხვევა“), რაც აისახა გასასაღებელი საინვესტიციო ქაღალდების პირველივე აღიარებისას. საქმიანი ფასიანი ქაღალდის რეალური ფასით ასახული მნიშვნელოვანი ან გაგრძელებული დაცემა, მის არსებულ ღირებულებაზე ნაკლებით, იმის მანჯვენებელია, რომ აღვილი აქვს მის დაკარგვას. საერთო დანაკარგი, გამოწვეული ფასის დაცემით, ათვლილი, როგორც სხვაობა საწყის ფასსა და მიმდინარე სამართლიან ფასს შორის, წარსულში ასახულ მიღებასა თუ ზარალში ფასის დაკლების გამო გამოწვეული დანაკარგების გარდა - ეთიშება აქციას და აისახება მოგებასა თუ ზარალში. კაპიტალის ინსტრუმენტების გაუფასურებული დანაკარგები არ რევერსირდება მოგებითა თუ ზალარით. თუ შესაბამის პერიოდში გასაყიდად კლასიფიცირებული სავალო ინსტრუმენტის რეალური ფასი იზრდება და აღნიშნული ზრდა რეალურად შეიძლება დაუკავშირდეს მოგებასა თუ ზარალში ასახულ ფასის დაცემით გამოწვეული დანაკარგის შემდგომ შემთხვევას, მიმდინარე პერიოდის მოგება ან ზარალის თანახმად იცვლება ფასის დაცემით გამოწვეული დანაკარგი.

**დაფარვამდე (ვადის გასვლამდე) დაკავებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.** წარმოდგენილი კლასიფიკაცია მოიცავს ფიქსირებული და ფიქსირებადი გადასახადებით ქვოტირებულ არადერივატიულ ფინანსურ აქტივებს, ასევე იმ გადახდის დადგენილ ვადებს, რასაც ჯგუფი აპირებს და შემძლეა შეასრულოს. მათი თავდაპირველი აღიარებისას, გარკვეული ვადისათვის მენეჯმენტი ახდენს საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების კლასიფიცირებას და ხელახლად ახდენს კლასიფიკაციის შესაბამისობის შეფასებას თითოეული საბალანსო უწყისის წარდგენის თარიღისათვის. დაფარვამდე (ვადის გასვლამდე) დაკავებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

**გუდვილი.** გუდვილი წარმოადგენს გაცვლის თარიღისათვის შესყიდვის ღირებულების ზრდას, მყიდველის წილის მფლობელი შვილობილი კომპანიისა თუ მოკავშირის იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების სამართლიან ფასზე. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშში, გუდვილი განცალკევებით არის წარმოდგენილი შვილობილი კომპანიების შექენით. მოკავშირეთა ინვესტიციაში მოცემულია მოკავშირეთა მიღების გუდვილი. გარდა აკუმულირებული ფასის დაკლებით გამოწვეული დანაკარგებისა, თუ აღვილი აქვს ამ უკანასკნელს, გუდვილი აისახება თვითღირებულების მიხედვით.

სულ მცირე ყოველწლიურად დანაკარგებისათვის ჯგუფი ამოწმებს გუდვილით, როდესაც არის რაიმე მანჯვენებელი იმისა, რომ შესაძლებელია გუდვილის დაკარგვა. გუდვილი თავსდება თანხების გენერირებად ერთეულებში, ან მათ ჯგუფებში, რამაც შესაძლოა დადებითად იმოქმედოს კომპანიების გაერთიანებების ეფექტურ ერთობლივ საქმიანობაზე. მსგავსი ერთეულები ან ჯგუფები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ გუდვილის დაკვირვების ყველაზე დაბალ დონეს, რაც არ აღემატება წილს. ფულის გენერირებადი

ერთეულის ფარგლებში ოპერაციათა მართვის მოგება ან ზარალი, რაზეც მოხდა გუდვილის განთავსება, მოიცავს გუდვილის რეალურ ფასს, წარმართულ ოპერაციასთან ასოცირებული, ზოგადად შეფასებული ოპერაციის შედარებითი ღირებულების საფუძველზე და დაკავებული ფულის გენერირებად ნაწილზე.

**უძრავი ქონება და აღჭურვილობა.** აშენებული შენობებისა და მშენებარე შენობების გარდა, უძრავი ქონება და აღჭურვილობა აისახება თვითღირებულების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ცვეთისა და დანაკარგის რეზერვი გარდა. მოპოვებული შვილობილი კომპანიების უძრავი ქონებისა და მოწყობილობის ფასი დგინდება რეალური ფასით მისი შექმნის თარიღისათვის.

საწყისი აღიარების შემდეგ, აშენებული შენობები და მშენებარე შენობები ტარდება გადაფასებული ოდენობის მიხედვით, გადაფასების თარიღისათვის ნაჩვენები რეალური ფასით, გარდა ნებისმიერი შესაბამისი აკუმულირებული ამორტიზაციისა და შესაბამისი აკუმულირებული გაუფასურებული დანაკარგებისა. ადგილი აქვს ხშირ გადაფასებას, რათა დაერწმუნდეთ იმაში, რომ საბალანსო ღირებულება მატერიალურად არ განსხვავდება იმ პუნქტისგან, რაც განიზრახებოდა ფინანსური წლის ბოლოს, საბალანსო უწყისის წარდგენის დღისათვის რეალური ღირებულების გამოყენებით.

ნებისმიერი გადაფასებით მიღებული შემოსავალი მიიჩნევა აქციაში არსებული საკუთრებისა და აღჭურვილობის გადაფასების რეზერვად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უკანასკნელი ცვლის იმავე აქციის გადაფასების დაკლებას, ადრე აღნიშნულს მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში, მაშინ როდესაც წარსულში დავალებული კლების ფარგლებში, ზრდას აღნიშნავენ მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში. გადაფასების დეფიციტი აღინიშნება მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარსული ნაშთის პირდაპირ კომპენსირებადი დეფიციტი იმავე აქციაზე, წარმოადგენს იმ ნაშთის საწინააღმდეგო პირდაპირ კომპენსირებას, რაც მოცემულია საკუთრებისა და მოწყობილობის გადაფასების რეზერვში.

გადაფასებული შენობების ფასის დაცემა მიეწერება მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშს. გადაფასებული ქონების განკარგვის შემდეგ, განსაკუთრებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გაყიდული ან დაფარული კაპიტალი გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

მცირედი შეკეთებებისა და შენახვის ხარჯები საჭიროების შემთხვევაში გაიწერება ხარჯებში. უძრავი ქონებისა და აღჭურვილობის შეცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი აღარ გამოიყენება.

დაზიანების შემთხვევაში, ადგილი აქვს უძრავი ქონებისა და მოწყობილობის ჩამოწერას, მათი გასაღებისათვის ფასის საკმაოდ დაწევით. საბალანსო ღირებულების კლება მიეწერება მოგებას ან ზარალს, თუ ეს უკანასკნელი აჭარბებს აქციაში არსებულ წარსულ გადაფასების ნაშთს. წინა წლებში აქციის აღიარებული ფასის დაკლებით გამოწვეული დანაკარგი იცვლება, თუ გამოყენებაში არსებული აქტივის ღირებულების ან რეალური ფასის განსახილველად, შეფასებებში ადგილი ჰქონდა ცვალებადობას, გარდა გასაყიდი ფასებისა.

საბალანსო ღირებულებასთან ერთად შედარებითი შემოსავლებით განსაზღვრული მოგებისა და ზარალის მართვა მიიჩნევა მოგებასა და ზარალში.

**ცვლილება.** მიწა არ უფასურდება. სხვა უძრავი ქონებისა და მოწყობილობის გაუფასურება გამოითვლება წრფივი დარიცხვის მეთოდით, რათა მოხდეს მათი ფასისა ან გადაფასებული საგნის ოდენობის ასიგნირება მათ დარჩენილ ღირებულებებში, მათი შეფასებული მომსახურების პერიოდის განმავლობაში შემდეგნაირად:

უძრავი ქონება	30-50 წელი
ავტო და უძრავი ინვენტარი	5-8 წელი
კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა	3-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	4-5 წელი
სხვა მოწყობილობა	2-8 წელი; და
იჯარით აღებული გაუმჯობესებული საკუთრება	7 წელიწადზე ნაკლები ან ძირითადი იჯარის ვადა

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებად ოდენობას, რასაც ჯგუფი ამჟამად მოიპოვებდა აქტივის მართვიდან, ამას გამოკლებული საანგარიშო ფასები, თუ აქტივი იქნებოდა უკვე სრულყოფილი და მისი განსაზღვრული პერიოდის ბოლოსათვის კარგ მდგომარეობაში. აქტივის ნარჩენი ღირებულება განულებულია, თუ ჯგუფი აპირებს აქტივის მოხმარებას მომხმარებლის ფიზიკური პერიოდად. საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საბალანსო უწყისის წარდგენის თარიღისათვის აქტივთა ნარჩენი ღირებულება და ხელსაყრელი მოხმარების ვადა გადაიხედება და გასწორდება.

**არამატერიალური აქტივები.** ჯგუფის ყოველ არამატერიალურ აქტივს გააჩნია განსაზღვრული მომსახურების ვადა, რაც უპირველესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამასა და ლიცენზიებს.

შექმნილი კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიები კაპიტალიზირდება მიღებული ხარჯების საფუძველზე, რათა შეიძინონ და გამოიყენონ სპეციალური პროგრამა. ყველა დანარჩენი ხარჯი, ასოცირებული კომპიუტერულ პროგრამასთან, მაგ: მისი მოვლა, გამოიყენება საჭიროებისამებრ. არამატერიალური აქტივების ამორტიზირება ხდება თანაბრად, ორიდან რვა წლამდე, განსაზღვრული მომსახურების ვადის განმავლობაში.

ინვესტიციები იჯარაში. როდესაც ჯგუფი იჯარის შემთხვევაში წარმოდგება მეიჯარედ, რომელსაც ძირითადად რისკზე მიჰყავს მოიჯარე, საკუთრებასთან დაკავშირებით, იჯარით გაცემული აქტივები წარმოდგება, როგორც მიღებადი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში რაც ტარდება მომავალი საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულებით. იჯარაში დაბანდებული ინვესტიციები თავდაპირველად მიიჩნევა წამოწყებად (იჯარის ვადის დაწყებისას) თავიდანვე განზრახული ფასდაკლების პროცენტის გამოყენებით (საიჯარო ხელშეკრულების თარიღზე ადრე და მხარეთა მიერ იჯარის ძირითადი პირობების შესრულების დაწყების თარიღი).

მთლიან დებიტორულ დავალიანებასა და მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობა წარმოადგენს გამოუმუშავებელ საფინანსო მოგებას. წმინდა საინვესტიციო მეთოდის (დაბეგვრამდე) გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში აღნიშნული მოგება აისახება, რაც ასახავს მოგების მუდმივ პერიოდულ დონეს. იჯარის მოლაპარაკებასა და საქმის მოგვარებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი ხარჯები, მოცემულია მიღებადი საფინანსო იჯარის საწყის შეფასებაში, რაც ამცირებს იმ შემოსავლის ოდენობას, რომელიც აღიარებულია იჯარის ვადის განმავლობაში.

გაუფასურებული დანაკარგები მიიჩნევა მოგებასა თუ ზარალში, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი გამოწვეულია ერთი ან მეტი შემთხვევით



(„დანაკარგის შემთხვევა“) რასაც ადგილი ჰქონდა იჯარებში ინვესტიციათა საწყისი მიღების შემდეგ. ჯგუფი სარგებლობს იმავე ძირითადი მეთოდით, რათა განისაზღვროს ობიექტური მონაცემების არსებობა, ის რომ ფასის დაკლების შედეგად დანაკარგები გამოწვეული იქნა იმ სესხებთან მიმართებაში, რომლებიც მიღებული იყო ამორტიზირებულ ხარჯებთან, ამავე შენიშვნაში ადრევე გაშიფრული. გაუფასურებული დანაკარგები მიიღება ანგარიშის ჩამოწერისას, რათა გამოიქვითოს დებიტორულ დავალიანებათა წმინდა საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ნაღდი ფულის მიმოქცევის მიმდინარე ღირებულებაზე (რომლებიც არ მოიცავს გამოუწვეველ მომავალ საკრედიტო დანაკარგებს) და საფინანსო იჯარებში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული. მოსალოდნელი მომავალი ნაღდი ფულის მიმოქცევა ასახავენ იმ ნაღდ ფულთა მიმოქცევებს, რამაც იჯარის თანახმად შესაძლოა ასახვა ჰპოვოს აქტივთა შეძენითა და გასაღებით.

**ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ.** სხვა ბანკის მიმართ გადასახადები აღინიშნება მაშინ, როდესაც ფული ან სხვა სახის აქტივები გადაეცემა ჯგუფს მეორე მხარის ბანკების მხრიდან. არადერივატირებადი ვალდებულება ტარდება ამორტიზირებულ ხარჯად. თუ ჯგუფი შეისყიდის მის საკუთარ ვალს, ეს უკანასკნელი ამოიღება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშიდან, ხოლო ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კონსოლიდაციას შორის სხვაობა მოცემულია მოგებასა თუ ზარალში, გამოწვეული სესხის გასტუმრების (გადახდის) შედეგად.

**კლიენტთა ანგარიშები.** კლიენტთა ანგარიშები წარმოდგება ფიზიკურ პირთა, სახელმწიფოსა და კორპორატიულ კლიენტთა არადერივატირებადი ვალდებულებებით, რომელიც აისახება ამორტიზირებულ ღირებულებით.

**დერივატიული/წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.** დერივატიული/წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, სავალუტო კონტრაქტების, საპროცენტო განაკვეთის ფიუნერსის, მომავალი საპროცენტო განაკვეთის შეთანხმებების, ვალუტის და საპროცენტო სვოპების, ვალუტისა და საპროცენტო განაკვეთის ოფციების ჩათვლით აისახება მათი რეალური ფასის მიხედვით.

ყოველი დერივატიული ინსტრუმენტი აისახება როგორც აქტივები, როდესაც ადგილი აქვს დადებით რეალურ ფასს და როგორც პასივები, როდესაც ადგილი აქვს ნეგატიურ სამართლიან ფასს. დერივატიული ინსტრუმენტების რეალური ფასის ცვლილებები მოცემულია მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი არ სარგებლობს ხეჯირების აღრიცხვით.

გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები მოთავსებული სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში, მიიჩნევა, როგორც ცალკეული დერივატიული ინსტრუმენტები, როდესაც მათი რისკი და მახასიათებლები არ არის ახლოს დაკავშირებული ძირითად გარიგებასთან.

**საშემოსავლო გადასახადები.** კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში საშემოსავლო გადასახადები წარმოდგენილია ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების მოქმედ ტერიტორიებზე არსებითად დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით საბალანსო უწყისის წარდგენის თარიღისათვის. საშემოსავლო გადასახადის გადასახადი/კრედიტი შედგება მიმდინარე გადასახადისა და გადავადებული გადასახადისგან, რომელიც მიღებულია კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ადგილი აქვს მის პირდაპირ მიღებას აქტივში, რამდენადაც ეს უკანასკნელი დაკავშირებულია იმ ტრანსაქციებთან მიჩნეული იმავე თუ სხვა პერიოდისათვის, პირდაპირ აქტივში/საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი წარმოდგება იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს საგადასახადო სამმართველოს მიერ, დაკავშირებული მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან. დასაბეგრი მოგება ან ზარალი დამოკიდებულია შეფასებებზე, თუ ფინანსური ანგარიშები ოფიციალურად ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, განსხვავებით შემოსავლისა მიიჩნევა ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში.

მოგებისათვის გადავადებული გადასახადი წარმოდგენილია საგადასახადო დანაკარგის მომავალი პერიოდისათვის გადასატანად და საბალანსო ანგარიშის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით და დროებითი სხვაობებით, აქტივთა და პასივთა საგადასახადო ბაზას შორის და მათი საბალანსო ღირებულებით საანგარიშგებო მიზნებისათვის. საწყისი აღიარების მიხედვით, მოგებისათვის გადავადებული გადასახადები ტრანსაქციაში აქტივისა თუ პასივის საწყის აღიარებაზე არ არის მოცემული დროებითი სხვაობებისთვის, განსხვავებით კომპანიების გაერთიანებებისგან, თუ თავდაპირველად მიღებული ტრანსაქცია არც საბუღალტრო საქმეს მიეწერება და არც დასაბეგრ მოგებას. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები გუდვილის (არამატერიალური აქტივები) თავდაპირველ მიღებაზე არ მიიღება დროებითი სხვაობებისათვის და შესაბამისად გუდვილისათვის, რაც არ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისათვის. მოგებისათვის გადავადებული საგადასახადო ბალანსები განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთების მიხედვით საბალანსო ანგარიშის გამოცემის დადგენილი თარიღისათვის, რომელიც მოიცავს იმ პერიოდს, როდესაც ადგილი ექნება დროებით ცვლილებებს ან საგადასახადო დანაკარგი გადაიტანება მომავალი პერიოდისათვის. გადავადებული საგადასახადო აქტივებითა და პასივებით აღინიშნება წმინდა შემოსავლის მიღება, მხოლოდ ჯგუფის ინდივიდუალურ კომპანიებს შორის. დროებითი გამოქვითვადი სხვაობებისათვის და საგადასახადო დანაკარგის გადატანის მომავალი პერიოდისათვის, გადავადებული საგადასახადო აქტივები მიიღება მხოლოდ, თუ არის იმის ალბათობა, რომ აისახება მომავალი დაბეგვრადი მოგება, რომლის საწინააღმდეგოდაც შესაძლებელი იქნება გამოქვითვების გამოყენება.

მოგებისათვის გადავადებული გადასახადი წარმოდგენილია შვილობილი კომპანიების გაუნაწილებელი მოგების მიღების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის მიერ კონტროლდება შვილობილი კომპანიის საღვიდენტო პოლიტიკა და არსებობს იმის ალბათობა, რომ სხვაობა უარყოფითად არ აისახება ღვიდენტებით ან სხვაგვარად, ახლო მომავალში.

**საშემოსავლო გადასახადები.** კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში საშემოსავლო გადასახადები წარმოდგენილია ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების მოქმედ ტერიტორიებზე არსებითად დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით საბალანსო უწყისის წარდგენის თარიღისათვის. საშემოსავლო გადასახადის გადასახადი/კრედიტი შედგება მიმდინარე გადასახადისა და გადავადებული გადასახადისგან, რომელიც მიღებულია კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ადგილი აქვს მის პირდაპირ მიღებას აქტივში, რამდენადაც ეს უკანასკნელი დაკავშირებულია იმ ტრანსაქციებთან მიხნეული იმავე თუ სხვა პერიოდისათვის, პირდაპირ აქტივში/საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი წარმოდგება იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს საგადასახადო სამმართველოს მიერ, დაკავშირებული მიმდინარე და გასული პერიოდების გაბნევალობაში დასაბეგრავე მოგებასა თუ ზარალთან. დასაბეგრავე მოგება ან ზარალი დამოკიდებულია შეფასებებზე, თუ

ფინანსური ანგარიშები ოფიციალურად ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, განსხვავებით შემოსავლისა მიიჩნევა ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში.

მოგებისათვის გადავადებული გადასახადი წარმოდგენილია საგადასახადო დანაკარგის მომავალი პერიოდისათვის გადასატანად და საბალანსო ანგარიშის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით და დროებითი სხვაობებით, აქტივთა და პასივთა საგადასახადო ბაზას შორის და მათი საბალანსო ღირებულებით საანგარიშგებო მიზნებისათვის. საწყისი აღიარების მიხედვით, მოგებისათვის გადავადებული გადასახადები ტრანსაქციაში აქტივისა თუ პასივის საწყის აღიარებაზე არ არის მოცემული დროებითი სხვაობებისთვის, განსხვავებით კომპანიების გაერთიანებებისგან, თუ თავდაპირველად მიღებული ტრანსაქცია არც საბუღალტრო საქმეს მიეწერება და არც დასაბეგრავ მოგებას. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები გუდვილის (არამატერიალური აქტივები) თავდაპირველ მიღებაზე არ მიიღება დროებითი სხვაობებისათვის და შესაბამისად გუდვილისათვის, რაც არ გამოიქვეითება საგადასახადო მიზნებისათვის. მოგებისათვის გადავადებული საგადასახადო ბალანსები განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთების მიხედვით საბალანსო ანგარიშის გამოცემის დადგენილი თარიღისათვის, რომელიც მოიცავს იმ პერიოდს, როდესაც ადგილი ექნება დროებით ცვლილებებს ან საგადასახადო დანაკარგი გადაიტანება მომავალი პერიოდისათვის. გადავადებული საგადასახადო აქტივებითა და პასივებით აღინიშნება წმინდა შემოსავლის მიღება, მხოლოდ ჯგუფის ინდივიდუალურ კომპანიებს შორის. დროებითი გამოქვეითადი სხვაობებისათვის და საგადასახადო დანაკარგის გადატანის მომავალი პერიოდისათვის, გადავადებული საგადასახადო აქტივები მიიღება მხოლოდ, თუ არის იმის ალბათობა, რომ აისახება მომავალი დაბეგვრადი მოგება, რომლის საწინააღმდეგოდაც შესაძლებელი იქნება გამოქვეითების გამოყენება.

მოგებისათვის გადავადებული გადასახადი წარმოდგენილია შვილობილი კომპანიების გაუნაწილებელი მოგების მიღების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის მიერ კონტროლდება შვილობილი კომპანიის სადივიდენტო პოლიტიკა და არსებობს იმის ალბათობა, რომ სხვაობა უარყოფითად არ აისახება დივიდენტებით ან სხვაგვარად, ახლო მომავალში.

**განუსაზღვრელი საგადასახადო სტატუსები.** ადგილი აქვს ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო სტატუსების ხელახალ შეფასებას მენეჯმენტის მიერ ყოველი საბალანსო უწყისის წარდგენის თარიღისათვის. ვალდებულებები აღინიშნება საშემოსავლო გადასახადის სტატუსებისათვის, რაც უფრო განსაზღვრულია მენეჯმენტის მიერ, რათა არ აისახოს დამატებით დაკისრებულ გადასახადში, თუ სტატუსები გამოწვეული იქნებოდა საგადასახადო ორგანოების მმართველების მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, დადგენილს ან არსებითად დადგენილს საბალანსო უწყისის წარდგენის თარიღისათვის, ასევე ნებისმიერი ცნობილი სასამართლოს ან სხვა მმართველი ორგანოს მიერ, რომლებიც ემსახურებიან მსგავსი საკითხების გაცემას. ჯარიმების, პროცენტისა და გადასახადების პასივები, განსხვავებით შემოსავლისგან, მიიჩნევა მენეჯმენტის მიერ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მოთხოვნილი ვალდებულებების საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით საბალანსო უწყისის წარდგენის თარიღისათვის.

**ვალდებულების გასტუმრების რეზერვები და ხარჯები.** ვალდებულების გასტუმრების რეზერვები და ხარჯები წარმოადგენენ გარკვეული პერიოდისა და ოდენობის არაფინანსურ ვალდებულებებს. წარსული შემთხვევების

შედგება, როდესაც ჯგუფში აისახება მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულებები, ადგილი აქვს მათ დარიცხვას, შესაძლებელია რესურსთა გამოდენა, რაც ასრულებს ეკონომიკური დახმარების როლს, საჭირო აღმოჩნდეს ვალდებულების საკითხის მოსაგვარებლად, და შესაძლებელი იქნება ვალდებულების ოდენობის საიმედო შეფასება.

**სააქციო კაპიტალი.** ჩვეულებრივი დისკრეციული დივიდენტებით კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. აქციების ან ოფციების გამოცემასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი ხარჯები, წარმოდგენილია აქციაში გამოქვითვის სახით, შემოსავლიდან ბეგარის გამოკლებით. კომპენსირების რეალური ფასის ნებისმიერი ზრდა, გაცემულ აქციათა ნომინალური ღირებულებით, აღინიშნება აქციაში საემისიო შემოსავლის სახით.

**შემოსავლისა და ხარჯის აღიარება.** საპროცენტო შემოსავალი და გასავალი, საპროცენტო განაკვეთის ეფექტური მეთოდის გამოყენებით, დარიცხვის მიხედვით, ყოველი სესხისათვის მოცემულია მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში. აღნიშნული მეთოდი აყოვნებს, როგორც საპროცენტო შემოსავალსა და გასავალს, ასევე გარიგებასთან დაკავშირებულ მხარეთა შორის არსებულ გადახდილ გადასახადს, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯებისა და ყველა სხვა პრემიებისა თუ ფასდაკლებების განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასახადები მოიცავს კრედიტის საკომისიოებს, მიღებულს ან გადახდილს იმ ორგანიზაციის მიერ, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების გაჩენასა თუ შექმნასთან, ფინანსური ვალდებულების გაცემასთან, როგორცაა კრედიტუნარიანობის შესაფასებელი გადასახადები, გარანტიათა ან გირაოს შეფასება ან აღნუსხვა, ინსტრუმენტის ვადების თაობაზე მოლაპარაკება, საქმის გარიგების თაობაზე დოკუმენტთა მოგვარება. ბაზრის საპროცენტო განაკვეთით სესხის ასაღებად ჯგუფის მიერ მიღებული დაპირებითი გადასახადები, წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, თუ ჯგუფი უზრუნველყოფს განსაკუთრებული სესხის გაცემის საკითხების მოგვარებას, და არ იქნება იმის ალბათობა, რომ მოხდება სესხის ვადის დაწყებიდან მისი მოკლე პერიოდში გასაღება. სესხის გაცემის თანხმობა, როგორც მოგებითა თუ ზარალით სამართლიან ფასში ფინანსური ვალდებულებები, არ ღვინდება ჯგუფის მიერ.

როდესაც საექვოა სესხების ან სხვა სახის დავალიანებების აღება, ადგილი აქვს მათ ჩამოწერას, რათა მოხდეს მოსალოდნელი ნაღდი ფულის მიმოქცევის ღირებულებისა წარდგენა, რის შემდეგაც საპროცენტო შემოსავალი აღინიშნება, აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიმდინარე ღირებულება, მოხმარებული ფასის დაკლებით გამოწვეული გაუფასურებული დანაკარგების გასაზომად.

არსებული მომსახურების საფუძველზე შეფასებული განსაკუთრებული ტრანსაქციის დასრულებასთან დაკავშირებით, დარიცხვის თანახმად ყოველი გადასახადი, საკომისიო და სხვა სახის შემოსავალი და გასავალი ზოგადად აისახება და წარმოდგენილია როგორც უზრუნველსაყოფი საერთო მომსახურებების პროპორციის სახით. სესხის სინდიკაციის გადასახადები, მიჩნეულია შემოსავლად, როდესაც დასრულებულია სინდიკაცია და ჯგუფს თავისთვის არ დაუკავებია სესხის პაკეტის არც ერთი ნაწილი ან დაუკავებია ნაწილი სხვა მონაწილეთათვის, იმავე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

მესამე მხარისადმი გარიგებებზე მოლაპარაკებებით, ან მოლაპარაკებებში მონაწილეობით მიღებული საკომისიოები და გადასახადები, დაკავშირებული სესხების, წილების ან სხვა სახის ფასიანი ქაღალდების აღებასთან

დაკავშირებული, ან ბიზნესის/საწარმოს გაყიდვასთან, გამომუშავებული ძირითადი ტრანსაქციით, აისახება მის დასასრულზე. პორტფელი და სხვა სახის მენეჯმენტის საკონსულტაციო საკითხი, ასევე მომსახურების გადასახადები მიიღება შესაბამისი მომსახურების გარიგებებით, ზოგადად დროის პროპორციულად. საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებული გადასახადების მართვის აქტივი მიიღება მომსახურების უზრუნველყოფის პერიოდის პროპორციულად. მსგავსი პრინციპი გამოიყენება მდგომარეობების სამართავად, ფინანსური დაგეგმარებისათვის და სათავდებო მომსახურებებისათვის, უზრუნველყოფილი გახანფგრძლივებული დროის განმავლობაში.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია.** ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული ორგანოს ფუნქციონალური ვალუტა წარმოდგება ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, სადაც მუშაბს ორგანიზაცია. ბანკის ვალუტა და ჯგუფის წარმომადგენლობითი ვალუტა წარმოდგება საქართველოს ეროვნული ვალუტით, ლარით.

ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების სამოქმედო ტერიტორიაზე, ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით, ხდება მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია, თითოეული ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტაში საბალანსო უწყისის წარდგენის თარიღებისათვის. უცხოური ვალუტის კურსის მიხედვით მიღებული მოგება და ზარალი, წარმოქმნილი გარიგებების მოგვარებით, ასევე მონეტარული აქტივებისა და პასივების გადაყვანით თითოეული ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოსათვის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით მიიჩნევა მოგებაში ან ზარალში. წლის ბოლოსათვის არსებული კურსის მიხედვით თანხის გადაყვანა არ ეხება არამონეტარულ საკითხებს, აქციონერული ინვესტიციების ჩათვლით. საქმიანი ფასიანი ქაღალდების სამართლიან ფასზე აღინიშნება სავალუტო კურსის ცვალებადობა, რაც მიიჩნევა რეალური ფასის მოგებად ან ზარალად.

თითოეული ჯგუფის ორგანიზაციის შედეგები და ფინანსური მდგომარეობა (ფუნქციონალური ვალუტა, რომელთაგან არც ერთი არ არის ჰიპერინფლაციის ეკონომიკის ვალუტა) გადადის წარმომადგენლობით ვალუტაში შემდეგნაირად:

- (i) ბალანსში მოცემული აქტივები და ვალდებულებები ბალანსის დღისათვის არსებული კურსით არის წარმოდგენილი;
- (ii) თითოეული საშემოსავლო უწყისის შემოსავალი და ხარჯი გადაიყვანება საშუალო სავალუტო კურსით (თუ აღნიშნული საშუალო კურსი არ წარმოადგენს ერთობლივი შედეგის მიახლოებას, იმ კურსებისა, რომლებიც დომინირებს გარიგების კურსებზე, სადაც შემოსავალი და ხარჯი გადაიყვანება გარიგებების თარიღისათვის); და
- (iii) ყოველი არსებული კურსის სხვაობა მიიჩნევა, როგორც აქციის ცალკეული კომპონენტი.

როდესაც შვილობილი კომპანია იმართება საწესდებო აქციის გაყიდვით, ლიკვიდაციით, ხელახალი გადახდით, ან ყველაფრის, ან ნაწილის მიტოვებით, რაც წარმოადგენს ორგანიზაციის ნაწილს, კურსის სხვაობა, არსებული აქციაში ხელახლად კლასიფიცირდება მოგებასა თუ ზარალში.

უცხო ქვეყნის საქმიანობით მიღებული გუდვილი და რეალური ფასი, მიიჩნევა უცხო ქვეყნის ორგანიზაციის აქტივებად ან პასივებად, რომელთა გადაყვანა ხდება ბოლო დღისათვის.

2008 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ბალანსის გადასაყვანად დადგენილი კურსი შეადგენდა:

1 აშშ დოლარი = 1.667 ლარი (2007: 1 აშშ დოლარი = 1.5916 ლარი); 1 ევრო = 2.3648 ლარი (2007: 1 ევრო = 2,3315 ლარი)

**გაქვითვა.** კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისში ადგილი აქვს ფინანსური აქტივებისა და პასივების გაქვითვას, როდესაც არის ამის კანონიერი უფლება, მოახდინონ აღნიშნული თანხის გაქვითვა და არსებობს მისი მოგვარების რეალური საფუძველი, ან მოახდინონ აქციის რეალიზირება და იმავედროულად მოაგვარონ ვალდებულების მდგომარეობა.

**საკადრო ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანები.** ხელფასები (გამომუშავეების მიხედვით), ხელფასები, ყოველწლიური შევებულების ანაზღაურება, პრემიები და არაფულადი დახმარებები დაირიცხება იმ წელიწადში, როდესაც ასოცირებული მომსახურებები კომპენსირდება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

**წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით გადახდა.** ჯგუფის საქმიანი ინსტრუმენტებისათვის (ოფციები), წილობრივი მონაწილეობის კომპენსირების გეგმის საფუძველზე, ჯგუფი სარგებლობს ზემდგომი ორგანოს მომსახურებებით. ოფციების გრანტის სანაცვლოდ, მუშაკის მომსახურებების რეალური ფასი მიიჩნევა, როგორც ხარჯი. შესაძლო დასახარჯი თანხის საერთო ოდენობა განისაზღვრება გაცემული ოფციების რეალური ფასის მიხედვით, ნებისმიერი არასაბაზრო მომსახურებისა და უფლებების მინიჭების პირობების გარდა. მრავალ უფლების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, არასაბაზრო უფლების მინიჭების პირობებიც მოისაზრება. საერთო დახარჯული თანხის აღიარება ხდება, უფლების მინიჭების პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც ყოველი დასაბუთებული უფლების მინიჭების პირობა სრულდება. ყოველი ბალანსის შედგენის თარიღისათვის, ჯგუფი განიხილავს მრავალი მისი ოფციის შეფასებას, რომლის უფლების გადაცემა მოსალოდნელია არასაბაზრო უფლების მინიჭების პირობების საფუძველზე. შესაძლებლობის შემთხვევაში, იგი აღიარებს საწყისი შეფასებების შემოწმების გავლენას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, საკუთარი კაპიტალის შესაბამისი შესწორებით. საოპერაციო ხარჯების გამოკლებით მიღებული წმინდა მოგება ეწერება სააქციო კაპიტალს (რეალური ფასი) და აქციის პრემიას, როდესაც ადგილი აქვს პრემიათა მოხმარებას.

**გასული პერიოდის შეცდომები.** შეცდომების აღმოჩენის შემდეგ ფინანსურ უწყისებში ადგილი აქვს ჯგუფის მიერ გასული პერიოდის მატერიალური შეცდომების შესწორებას, როდესაც ადგილი აქვს მათი შედარებითი ოდენობების ხელახალ დამტკიცებას, იმ გასული პერიოდისათვის, როდესაც იქნა დაშვებული შეცდომები; ხოლო თუ შეცდომა მოხდა გასულ ადრეულ წარდგენილ პერიოდში, აქტივთა, პასივთა და აქციის საწყისი სალდოს ხელახალი მტკიცებულება ადრეული გასული წარდგენილი პერიოდისათვის.

2008 წელს ჯგუფმა დაადგინა შეცდომა აქციის შესაბამისი გადასახადების ჩანაწერებში, რაც აისახა მოცემულ ფინანსურ უწყისებში, დაკავშირებული 2007 წლის 31 დეკემბერთან. კერძოდ, ჯგუფმა გამოიანგარიშა აქციის დანარიცხი, მთლიანი აქციის ოფციის ოდენობით პირდაპირი მეთოდის გამოყენებით, გარდა ნაწილობრივი გამოანგარიშებისა. 2007 წლის 31 დეკემბრისათვის შეცდომის შედეგად გადასახადის დაკისრების წმინდა მოგების შედეგი დაბეგვრამდე აისახებოდა შემდეგნაირად:

ქართულ ლარში ათასებში

		წარსული მტკიცებულების მიხედვით	ხელახალი მტკიცებულების მიხედვით
საემისიო შემოსავალი	136,279	1,852	138,131
გაუნაწილებელი მოგება	128,574	(1,852)	126,722
ადმინისტრაციული ხარჯები	35,697	(3,043)	32,654
წმინდა შემოსავალი	28,634	3,043	31,677

**წარდგენის ცვლილებები.** საჭიროების შემთხვევაში, მიმდინარე წლის თანხების წარდგენის შესაბამისობისათვის აღემატება შესაბამისი მანქანების ჩასწორებებს. ხელახალი კლასიფიკაციის შედეგი აისახება ქვემოთ აღნიშნულის მიხედვით:

ქართულ ლარში ათასებში	თავდაპირველი წარდგენის მიხედვით	შესწორება	შესწორების მიხედვით
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტი	183,833	(14,593)	169,240
<i>სავაჭრო ფასიანი ქაღალდები</i>			-
	363	(363)	
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	80,994	14,593	95,587
საკრედიტო პორტფელი	1,148,280	(19,579)	1,128,701
არამატერიალური აქტივები	-	2,199	2,199
იჯარაში გადასაცემი შესყიდული ქონება და მოწყობილობა			-
	326	(326)	
ფინანსური ლიზინგის ინვესტირება	-	19,579	19,579
სხვა სახის ფინანსური აქტივები	-	18,671	18,671
სხვა აქტივები	40,793	(20,182)	20,611
დავალიანებებისა და ხარჯებისათვის საქონლის რეზერვი	-	1,098	1,098
სხვა სახის ფინანსური ვალდებულებები	-	3,962	3,962
სხვა ვალდებულებები	13,022	(5,058)	7,964
უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს გამოკლებული ხარჯი	-	17,052	17,052
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებულ შემოსავალს გამოკლებული ხარჯი			(1,115)
	15,937	(17,052)	
კრედიტთან დაკავშირებული საკითხის რეზერვი აღდგენა	-	992	992
სხვა ტრანსაქციების რეზერვი აღდგენა	1,801	(742)	1,059
საიჯარო დებიტორული დავალიანებების კლება	-	(250)	(250)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9,722	(4,696)	5,026
საპროცენტო შემოსავალი	165,326	6,346	171,672
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(67,127)	(1,323)	(68,450)
მოკავშირის მოგების წილი	-	(1,174)	(1,174)
რეალური ფასის შესაბამისი მოგებითა და ზარალით ფინანსური აქტივებისა და პასივების ზარალი	(846)	846	-

წარდგენების მნიშვნელოვანი ცვლილებები აისახებოდა შემდეგნაირად:

- 89,388 ათასი ლარის ოდენობის სებ-ს სავალდებულო რეზერვების ხელახალი კლასიფიკაცია სხვა ბანკების სახსრების ნაღდი ფულითა და მისი ექვივალენტებით, ასევე 74,795 ათასი ლარის ფარგლებში გარკვეული ბალანსების ხელახალი კლასიფიკაცია სხვა ბანკებში სახსრების სამ თვეზე ნაკლები ოდენობის დაფარვის თავდაპირველი ვადით, სხვა ბანკებში სახსრების ნაღდი ფულითა და მისი

ექვივალენტებით, რათა გაუმჯობესებული იქნას ნაღდი ფულისა და მისი ექვივალენტის წარდგენა;

- 19,577 ათასი ლარის ოდენობის საფინანსო იჯარების წმინდა ინვესტიციები, რომლებიც ადრე კლიენტთა სესხებში და ავანსებში შედიოდა, საბალანსო ანგარიშის მიხედვით ამჟამად ცალკეა წარმოდგენილი, რათა მეტად გასაგები იყოს საბალანსო ანგარიშის სტრუქტურა;
- წარსულში სხვა აქტივებში მოცემული, 18,671 ათასი ლარის ოდენობის სხვა ფინანსური აქტივები, საბალანსო ანგარიშის მიხედვით ამჟამად ცალკეა წარმოდგენილი, რათა ბასს 39-ს მიხედვით მოხდეს ფინანსური აქტივების ზუსტი შეჯერება;
- უცხოურ ვალუტასთან სავაჭრო ოპერაციებიდან შემოსავლები ხარჯების გამოკლებით, 17,052 ათასი ლარის ოდენობით, წარსულში უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლებისა და ხარჯების საპირისპიროდ წმინდა მოგებით, ოპერაციათა ანგარიშის კომპონენტთა თავისებურების უკეთ გასაცნობად, ამჟამად ცალკეა წარმოდგენილი.

აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშებში ნებისმიერი დამატებითი ცვლილებების შეტანა მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობის დასტურს, რომელთა მიერაც დადგენილ იქნა აღნიშნული ფინანსური ანგარიშების გაცემა.

#### **4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები მოთხოვნილ სააღრიცხვო პოლიტიკაში**

ჯგუფი აფასებს და ასკვნის მომავალი საფინანსო წლის განმავლობაში განმარტებული აქტივებისა და პასივების ოდენობას. განუწყვეტელივ ხდება შეფასებებისა და მსჯელობების შეფასება, დამოკიდებული მენეჯმენტის გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე, მომავალი შემთხვევების მოლოდინის ჩათვლით, რაც გონივრულად მიიჩნევა მოცემულ გარემოებებში. გარდა დაკავშირებული შეფასებებისა, სააღრიცხვო პოლიტიკის მოთხოვნისას, მენეჯმენტი აკეთებს გარკვეული სახის დასკვნებს. ფინანსურ უწყისებსა და შეფასებებში წარმოდგენილი მსჯელობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მიღებულ ოდენობებზე და რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შესწორებები აქტივთა და პასივთა საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

უწყვეტობის კონცეფცია. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური უწყისები მენეჯმენტის მიერ მომზადებული იქნა უწყვეტობის კონცეფციის საფუძველზე. აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა არსებული განზრახვები, ოპერაციათა ნაყოფიერება და ფინანსური რესურსების მიღება.

მსგავსად 31-ე შენიშვნისა, 2008 წლის 31 დეკემბერს ჯგუფი 12 თვემდე პერიოდის განმავლობაში, აღინიშნებოდა ნეგატიური საერთო ლიკვიდურობის ხარვეზით 448,190 ათასი ლარის ოდენობით. ამას გარდა, მსგავსად 31-ე შენიშვნისა, 2008 წლის 31 დეკემბერს ბანკის მონაცემები არ შეესაბამებოდა გარკვეულ დაკისრებულ კაპიტალის მოთხოვნებს. ნებისმიერი სახის დაკისრებული კაპიტალის მოთხოვნების შეუსაბამობამ, შესაძლოა გამოიწვიოს მრავალგვარი სანქციების მიღება მარეგულირებელი ორგანოს მიერ, მათ შორის შეუზღუდავად ფულადი ჯარიმები, დივიდენტთა განაწილების შეზღუდვა, საბანკო ლიცენზიების დაბრუნება.



საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან, ახალი ან გახანგრძლივებული ვადიანი სესხების ასაღებად, როდესაც თანამედროვე გლობალური შემთხვევების მიერ მათ ასაღებად ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გავლენებს და შესაძლებლობის მიხედვით, დაფინანსების ღირებულება ტიპურად იქნა გაზრდილი, ამ შემთხვევაში, მენეჯერების მიერ აქტიურად ხდება მოცემული პოზიციის მართვა, ხოლო შემდგომი ნაბიჯების შედეგად მიიჩნევენ, რომ ყოველი არსებული ვალდებულების დაკმაყოფილების გასაგრძელებლად, გადახდის დადგენილი მომენტისათვის ჯგუფი მოიპოვებს საკმარის ოდენობის რესურსებს:

- (ი) მენეჯმენტი დარწმუნებულია იმაში, რომ საქართველოს საფინანსო სამეთვალყურეო სააგენტო („სსა“) არ მიიღებს ბანკის მიმართ არანაირ საწინააღმდეგო ზომებს, გამოწვეულს მარეგულირებელი შეუთავსებლობების გამო, ასევე ბანკს შეეძლო სსა-გან მოეპოვებინა უარის განცხადების უფლება, დათარიღებული 2009 წლის 26 მარტით.
- (იი) ახალი ვალის ასაღებად და აქციონერული დაფინანსებისათვის, ბანკის მენეჯმენტი განაგრძობს მოლაპარაკებებს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში. 2009 წლის 14 აპრილს, აღნიშნული მოლაპარაკებებიდან გამომდინარე, ბანკმა მიიღო დასტური ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისგან, რათა მიეღო გრძელვადიანი დაფინანსების პაკეტი, დაახლოებით 230,000 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაცემულიყო ნაღდი ფულის საშუალებით 2009 წლის აპრილი-მაისის თვეში, წარმოდგენილი შემდეგი მაჩვენებლებით:
  - \* სააქციო კაპიტალის შენატანი: 66,000 ათასი ლარი;
  - \* სუბორდინირებული სესხები: 73,348 ათასი ლარი, 5 წელიწადზე მეტი ვადით;
  - \* დიდი სესხის საშუალებები: 88,581 ათასი ლარი, 5 წელიწადზე მეტი ვადით;

ზემოთ აღნიშნული ფინანსური პაკეტები გამოიყენება ჯგუფის მიერ მისი მიმდინარე ლიკვიდურობის ხარვეზის დასაფინანსებლად თორმეტ თვემდე პერიოდის განმავლობაში. იხილეთ 31-ე შენიშვნა.

2009 წლის 8 მაისის მდგომარეობით, სააქციო კაპიტალის შენატანით ჯგუფმა მიიღო 53,868 ათასი ლარი და მოკლევადიანი ლიკვიდურობის საჭიროების დასაფარავად, სუბორდინირებული სესხებიდან კი 73,348 ათასი ლარი. იხილეთ 31-ე შენიშვნა.

- (იიი) საქართველოს ეროვნული ბანკი მზად იყო დახმარება გაეწია ბანკისათვის, რათა აღმოეფხვრა ლიკვიდურობის ხარვეზი, თავდაპირველი 45,000 ათასი ლარის ოდენობის სესხის გახანგრძლივებით, რომლის თავდაპირველი ვადა დადგენილი იყო 2009 წლის მარტი, დამატებითი ექვსი თვით.
- (ივ) საქართველოს მთავრობამ მრავალი ზომები მიიღო, რათა თავიდან აეცილებინა გლობალური შემთხვევების შესაძლო გავლენა ადგილობრივ ეკონომიკასა და საფინანსო სისტემაზე. აღნიშნულ ზომებთან ერთად, 2008 წლის 2 ივნისს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეამცირა მისი სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნა 13%-15%-მდე.

გასაყიდად არსებული აქციის ინვესტიციების გაუფასურება. ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა გასაყიდად არსებული აქციის ინვესტიციები გაუფასურებული, მაშინ, როდესაც ადგილი აქვს რეალური ფასის მის ფასზე

ქვემოთ მნიშვნელოვან ან გახანგრძლივებულ დაცემას. აღნიშნულ დაცემასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს იმის მსჯელობა, თუ რა არის მნიშვნელოვანი და გახანგრძლივებელი. აღნიშნულის მსჯელობისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ჯგუფი ახდენს აქციის ფასის ცვალებადობის შეფასებას. ამასთანავე, დაცემა შეესაბამება იმ ფაქტს, როდესაც არსებობს ინვესტიციის მიმდების, საწარმოსა და სექტორის ფინანსური მაჩვენებლების გაუარესების მტკიცებულება, ასევე ტექნოლოგიური ცვლილებები და საოპერაციო და საფინანსო ნაღდი ფულის მიმოქცევის უარყოფითი მაჩვენებლები.

**სესხებისა და ავანსების ფასის დაკლების შედეგად გამოწვეული (გაუფასურებული) დანაკარგები.** დაცემის შესაფასებლად ჯგუფი რეგულარულად ახდენს მისი დებიტორული დავალიანების საერთო ოდენობის რევიზირებას. იმის დადგენით, უნდა მოხდეს თუ არა საშემოსავლო უწყისში ფასის დაკლების შედეგად კლების შეტანა, ჯგუფი განიხილავს და ადგენს არის თუ არა რაიმე სახის აშკარა მონაცემები, იმის მანიშნებელი, რომ მომავალ ნაღდი ფულის მიმოქცევაში აღინიშნება არც ისე დიდი კლება, გამოწვეული დებიტორული დავალიანებების საერთო ოდენობით, მანამ სანამ კლების იდენტიფიცირება იქნება შესაძლებელი აღნიშნულ საქმეში ინდივიდუალურ სესხით. აღნიშნული მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს აშკარა მონაცემებს, იმის მანიშნებელი, რომ ადგილი ჰქონდა მსესხებლის საგადასახადო მდგომარეობის საწინააღმდეგო ცვლილებას, ჯგუფურ, ადგილობრივ, თუ ეკონომიკურ პირობებში, რაც დაკავშირებულია ჯგუფში არსებულ აქციის გადაუხდელობასთან. წარსული დანაკარგის გამოცდილებიდან გამომდინარე, დაკავშირებული აქტივთა საკრედიტო რისკის მახასიათებლებთან და კლების ობიექტურ მონაცემებთან, მსგავსად იმ საქმეებისა, როდესაც ხდება მისი მომავალი ნაღდი ფულის მიმოქცევის პერიოდის დადგენა, მენეჯმენტი ხელმძღვანელობს შეფასებებით. როგორც ოდენობის, ასევე მომავალი ნაღდი ფულის მიმოქცევის დროის აღრიცხვის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდოლოგია და ვარაუდი, რეგულარულად განდაიხედება, რათა შემცირდეს ნებისმიერი სხვაობა, არსებული დანაკარგის შეფასებასა და ფაქტიურ დანაკარგის გამოცდილებას შორის. 5%-იანი კლება ან ზრდა დანაკარგის შეფასებასა და ფაქტიურ დანაკარგის გამოცდილებას შორის, აისახება დამატებითი ან დაბალი ხარჯით, შესაბამისად 8,364 ათასი ლარის (2007: 1,930 ათასი ლარი) ოდენობის თანხის სასესხო დანაკარგის გაუფასურებისათვის. მნიშვნელოვანი ინდივიდუალური სესხების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება დისკონტირებული მომავალი ნაღდი ფულის მიმოქცევის ინდივიდუალური სესხების შეფასებას, ნებისმიერი აქტივის ხელახალი დაფარვითა და რეალიზაციის გათვალისწინებით, სესხის სანაცვლოდ დაკავებული გირაოს სახით. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებიდან გამომდინარე, რეალური მომავალი დისკონტირებული ნაღდი ფულის მიმოქცევის 5%-ანი ზრდა ან კლება, რაც შეიძლება აისახოს თანხების სხვაობებიდან გამომდინარე, ხოლო ფულის მიმოქცევის დროის განსაზღვრა კი შესაბამისად აისახება 6,916 ათასი ლარის (2007: 573 ათასი ლარი) ოდენობის კრედიტებზე ზარალის დაფარვის რეზერვის დამატებითი ან დაბალი ვალდებულებით.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება ცვალებად ინტერპრეტაციებს. იხილეთ 33-ე შენიშვნა.

**დაკავშირებულ მხარეთა გარიგებების თავდაპირველი აღიარება.** ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობის დროს, ჯგუფი აწარმოებს გარიგებებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. სსს (საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) 39 მოითხოვს მათი რეალური ფასის საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას. იმის განსასაზღვრელად, გარიგებები ფასდება თუ არა საბაზრო ან არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთით, სადაც მსგავსი გარიგებებისათვის არ არსებობს აქტიური ბაზარი, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მსჯელობებს. მსჯელობის საფუძველი წარმოდგება, მსგავსი ტიპის გარიგებებისათვის ფასის დადებით დაუკავშირებელ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზით. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 2007 და 2008 წლების 31 დეკემბრისათვის საბაზრო მდგომარეობებისგან განსხვავებით არ აისახებოდა სესხები და ავანსები. 37-ე შენიშვნაში წარმოდგენილია დაკავშირებული მხარის ბალანსების ვადები და პირობები.

**გუდვილი (არამატერიალური აქტივები).** გუდვილის ანაზღაურებადი თანხა დადგენილ იქნა გამოყენების ღირებულების კალკულაციის საფუძველზე. იხილეთ 12-ე შენიშვნა.

**თვითღირებულების მიხედვით გატარებული ინვესტიცია.** ხელმძღვანელობამ ვერ მოახდინა ჯგუფის გასაყიდი არაქვოტირებული სააქციო ინვესტიციების ფასიანი ქაღალდების აქციებში ინვესტიციის რეალური ფასის საიმედო შეფასება (შ.პ.ს. კავკასუს ნეთვორქი, სს „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია“ და სხვა ინვესტიციები). ინვესტიციები ტარდება თვითღირებულების მიხედვით 3,159 ათასი ლარის (2007: 5,219 ათასი ლარი) ოდენობით. ინვესტიციის მიმღებს არ წარმოუდგენია ბოლო პერიოდში არსებული ფინანსური ინფორმაცია, დაკავშირებული მის ოპერაციებთან, არ არის მისი აქციები ქვოტირებული და მისი ბოლო ყიდვა-გაყიდვის ფასები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

#### **5. ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.**

2008 წლის 1 იანვრიდან, გარკვეული სახის ახალი ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში:

\* სფამკ 11: ფასს 2: ჯგუფისა და ხაზინის პროტოკოლები (2007 წლის 1 მარტიდან ან შემდგომ პერიოდში დაწყებული წლიური პერიოდებისათვის მოქმედი);

\* სფამკ 12: მომსახურების კონცენსიის ზომები (2008 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდში დაწყებული წლიური პერიოდებისათვის მოქმედი); და

\* სფამკ 14: ბასს 19 – აქციის ფიქსირებული გადახდის ლიმიტი, მინიმალური დაფინანსების მოთხოვნები და მათი ურთიერთმოქმედება (2008 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდში დაწყებული წლიური პერიოდებისათვის მოქმედი).

ზემოთ აღნიშნულ ინტერპრეტაციებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე.

**ფინანსური აქტივების ხელახალი კლასიფიკაცია- ბასს 39–ს შესწორებები:** აღიარება და შეფასება და შასს 7, ფინანსური ინსტრუმენტები: წარმოდგენები და შესაბამისი შესწორება, ფინანსური აქტივების ხელახალი კლასიფიკაცია: ძალაში შესვლის თარიღი და გარდამავალი პერიოდი. ორგანიზაციებს უფლება აქვთ შეიტანონ შემდეგი სახის შესწორებები: (ა) მოახდინონ არასავაჭრო კატეგორიის ფინანსური აქტივების ხელახალი კლასიფიცირება, თუ მოკლე ვადაში, იშვიათ შემთხვევებში აქტივი არ ხდება აქტივის გაყიდვა ან ხელახალი შესყიდვა; და (ბ) გასაყიდად არსებული აქტივის ან სესხებისა

და დებიტორული დავალიანებების კატეგორიის სავაჭრო აქტივის ხელახალი კლასიფიცირება, თუ ორგანიზაციას განზრახული ან შესაძლებლობა აქვს ახლო მომავლისთვის ან მის დადგენილ თარიღამდე დააკავოს ფინანსური აქტივები (თუ აქტივი შეესაბამება სესხებისა და დებიტორული დავალიანებების განსაზღვრებას). შესწორებების გაკეთება შესაძლებელია, 2008 წლის 1 ნოემბრამდე გაკეთებული ნებისმიერი ხელახალი კლასიფიკაციებისათვის, რეტროსპექტიული შედეგით 2008 წლის 1 ივლისიდან; 2008 წლის 1 ივლისამდე დაუშვებელია შესწორებების სახით ხელახალი კლასიფიკაციების ჩატარება, ხოლო რეტროსპექტიული ხელახალი კლასიფიკაციები კი დაშვებულია მხოლოდ თუ ამ უკანასკნელს ადგილი ექნება 2008 წლის 1 ნოემბრამდე. ფინანსური აქტივის ნებისმიერი სახის ხელახალი კლასიფიკაცია, რომელიც შესრულდა 2008 წლის 1 ნოემბერს ან შემდგომ პერიოდში, ძალაში შევა მხოლოდ ხელახალი კლასიფიკაციის შესრულების მომენტიდან. წლის განმავლობაში, ჯგუფს არ აურჩევია ნებისმიერი არჩევითი ხელახალი კლასიფიკაციის ჩატარება.

## **6. ახალი სააღრიცხვო დებულებები**

„ჯგუფი“-ს ლიკვიდურობის მართვა მოითხოვს ვალდებულებების დროული შესრულებისათვის აუცილებელი ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებას; დაფინანსების სხვადასხვა სახის წყაროებთან წვდომის შენარჩუნებას; დაფინანსების საგანგებო გეგმების შემუშავებას; და მარეგულირებელი მოთხოვნების თანახმად ბალანსით განსაზღვრული ლიკვიდურობის კოეფიციენტების მონიტორინგს. „ბანკი“-ს მიერ ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაანგარიშება წარმოებს ყოველდღიური მონაცემების თანახმად, საქართველოს ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული კოეფიციენტი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი (LK, არანაკლებ 20%), რომელიც დგინდება, როგორც საშუალო ლიკვიდურობის მქონე აქტივებისა და საშუალო ლიკვიდურობის მქონე ვალდებულებების შეფარდება შესაბამის თვესთან მიმართებით, ფინანსური დაწესებულებებისგან აღებული, დაფარვამდე 6 თვემდე დარჩენილი ვადის მქონე სესხებისა და დაფარვამდე 6 თვემდე დარჩენილი ვადის მქონე ბალანსგარე ვალდებულებების ჩათვლით, მოთხოვნისამებრ; 2008 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობით აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენდა 22.18%-ს (2007: 34.52%)

ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის შესახებ მიეწოდება სახაზინო დეპარტამენტს, რომელიც აწარმოებს „ჯგუფი“-ს საოპერაციო ლიკვიდურობის ანალიზს, ხოლო შემდგომ ახორციელებს მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივების სათანადო პორტფელის წარმოდგენის უზრუნველყოფას, რომელიც, როგორც წესი ყალიბდება მოკლევადიანი ლიკვიდური სავაჭრო ფასიანი ქაღალდების, ბანკებში დეპოზიტებისა და სხვა ბანკთაშორისო ინსტრუმენტების მეშვეობით, მთლიანად „ჯგუფი“-ს ფარგლებში ლიკვიდურობის შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით.

ყოველდღიური ლიკვიდურობის პოზიციის მართვა წარმოებს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მინიტორინგის მეშვეობით, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილს. „აქტივების/ვალდებულებების მარეგულირებელი კომიტეტი“ ადგენს ზღვრებს დეპოზიტის ამოღებისათვის საჭირო გადასახდელი თანხების მინიმალურ ოდენობასა და ბანკთაშორისო და სხვა სასესხო სახრების მინიმალურ დონეზე, რომელიც სავალდებულოა მოთხოვნის გაუთვალისინებელ ეტაპებზე გატანების დასაფარავად. ლიკვიდურობის მართვის მიზნით, „ვალდებულებებზე/აქტივებზე“ ლიკვიდური აქტივების მინიმალური მარაგი და „აქტივებსა“ და „ვალდებულებებში“ კონცენტრაციის ზღვრები დგინდება „აქტივების/ვალდებულებების მარეგულირებელი კომიტეტი“-ს მიერ და კონტროლირდება „ფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტი“-ს მიერ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2008 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები, დაფარვამდე დარჩენილი მათი სახელშეკრულებო ვადების თანახმად. დაფარვის ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენენ სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. აღნიშნული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდებიან თანხისაგან, რომელიც ასახულია ბალანსში, ვინაიდან საბალანსო თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ნეტო საფუძველზე დაფარული წარმოებული ინსტრუმენტები ჩართულია გადასახდელ წმინდა თანხებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახდელი თანხა არ არის დაფიქსირებული, ასახული თანხა დგინდება საანგარიშგებო დღისათვის არსებული გარემოებების შესაბამისად. უცხოური ვალუტით გადახდების კონვერტირება წარმოებს ბალანსის დღისათვის არსებული ვალუტის სპოტ-კურსით.

არადისკონტირებული სახელშეკრულებო დარჩენილი ვალდებულებების საფუძველზე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარებში</i>	მოთხოვნამდ ე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	30,929	-	-	-	-	30,929
კლიენტთა სახსრები - ფიზიკური პირები	226,069	69,719	201,819	37,224	2,142	536,973
კლიენტთა სახსრები - სხვა	297,134	28,533	15,899	721	-	342,287
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,004	-	-	-	-	3,004
სხვა სასესხო სახსრები	71,787	232,589	220,987	168,848	84,970	779,181
სუბორდინირებული დავალიანება მთლიანი დაფარული ფორვარდები	4,314	-	6,235	75,318	34,162	120,029
ფინანსური გარანტიები	7,397	-	-	-	-	7,397
ფინანსური გარანტიები	16,448	27,438	56,426	83,691	417	184,420
სხვა საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	89,465	-	-	-	-	89,465
<b>სულ პოტენციური მომავალი გადახდები ფინანსურ ვალდებულებებზე</b>	<b>746,547</b>	<b>358,279</b>	<b>501,366</b>	<b>365,802</b>	<b>121,691</b>	<b>2,093,685</b>

### 30 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარებში</i>	მოთხოვნამდ ე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	66,626	25,360	3,300	-	-	95,286
კლიენტთა სახსრები - ფიზიკური პირები	191,210	41,916	185,819	40,807	1,392	461,144
კლიენტთა სახსრები - სხვა	298,150	27,796	15,139	2,626	-	343,711
სხვა სასესხო სახსრები	47,182	4,186	151,305	283,094	-	485,767
სუბორდინირებული დავალიანება მთლიანი დაფარული ფორვარდები	2,692	-	5,147	45,130	34,646	87,615
ფინანსური გარანტიები	31,384	-	-	-	-	31,384
ფინანსური გარანტიები	1,032	41,427	70,193	122,040	7,599	242,291
სხვა საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	9,620	20,271	40,927	47,649	16,683	135,150
<b>სულ პოტენციური მომავალი გადახდები ფინანსურ ვალდებულებებზე</b>	<b>647,896</b>	<b>160,956</b>	<b>471,830</b>	<b>541,346</b>	<b>60,320</b>	<b>1,882,348</b>

კლიენტთა სახსრები კლასიფიცირებულია ზემოთ მოცემულ ანალიზში დაფარვის სახელშეკრულებო ვადების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ფიზიკური პირები უფლებამოსილი არიან გაიტანონ თავიანთი ანაზრები



დაფარვის ვადის დადგომამდე, დარიცხულ პროცენტზე მათ მიერ უფლების დაკარგვის შემთხვევაში.

„ჯგუფი“ არ იყენებს არადისკონტირებული დაფარვის ვადების ზემოაღნიშნულ ანალიზს ლიკვიდურობის მართვის მიზნით. სანაცვლოდ, „ჯგუფი“ აწარმოებს მოსალოდნელი დაფარვის ვადების მონიტორინგს, რომელიც 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია შეჯამებულ იქნას შემდეგი სახით:

	მოთხოვნა მდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<i>ათას ლარებში</i>						
<b>აქტივები</b>						
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	321,518	34,229	-	-	-	355,747
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	36,327	11,443	-	-	-	47,770
სესხები და ავანსები კლიენტებისადმი გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	170,657	129,500	320,219	563,698	103,969	1,288,043
დაფარვამდე დაკავებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	4,729	4,729
ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანებები	21,150	-	56	-	-	21,206
სხვა ფინანსური აქტივები	936	1,832	7,647	13,351	-	23,766
სხვა ფინანსური აქტივები	4,284	-	-	-	-	4,284
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>554,872</b>	<b>177,004</b>	<b>327,922</b>	<b>577,049</b>	<b>108,698</b>	<b>1,745,545</b>
<b>ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	29,510	-	-	-	-	29,510
კლიენტთა სახსრები	519,077	91,918	196,917	34,767	2,143	844,822
სხვა სასესხო სახსრები	66,033	405,735	119,975	66,349	50,351	708,443
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,004	-	-	-	-	3,004
სუბორდინირებული დავალიანება	2,471	73,348	-	-	-	75,819
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>620,095</b>	<b>571,001</b>	<b>316,892</b>	<b>101,116</b>	<b>52,494</b>	<b>1,661,598</b>
<b>ლიკვიდურობის წმინდა წყვეტილი 2008 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>(65,223)</b>	<b>(393,997)</b>	<b>11,030</b>	<b>475,933</b>	<b>56,204</b>	<b>83,947</b>
<b>ლიკვიდურობის კრებითი წყვეტილი 2008 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>(65,223)</b>	<b>(459,220)</b>	<b>(448,190)</b>	<b>27,743</b>	<b>83,948</b>	

ზემოასახული ანალიზი წარმოდგენილია დაფარვის მოსალოდნელი ვადების საფუძველზე. სავაჭრო ფასიანი ქაღალდების სრული პორტფელი, მაშასადამე, კლასიფიცირებულია „მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები“ კატეგორიას ფარგლებში, ხელმძღვანელობის მიერ აღნიშნული პორტფელის რეალიზებადობის შეფასების საფუძველზე.

21-ე და 22-ე განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ბანკი“ ვერ ასრულებდა ფინანსურ დაწესებულებებთან დადებული ფინანსური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ, გარკვეულ ფინანსურ შეთანხმებებს 177,665 000 ლარის ოდენობით და შესაბამისად 75,819 000 ლარის ოდენობით. „ბასს 1“-ს შესაბამისად (რედაქტირებული ვერსია) 253,484 000 ლარის ოდენობის ბანკების სახსრები და სუბორდინირებული დავალიანება გადაყვანილ იქნა მოთხოვნის ლიკვიდურობის ანალიზში, 2008 წლის 31 დეკემბრისათვის. მოქმედი საწარმოს თანახმად, ხელმძღვანელობამ მიიღო განსაკუთრებული ზომები, რაც მოცემულია 4-ე შენიშვნაში და შესაბამისი ღონისძიებები 39-ე შენიშვნაში.

დაფარვის მოსალოდნელი ვადების ანალიზი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია შეჯამებულ იქნას შემდეგი სახით:

	მოთხოვნა მდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<i>ათას ლარებში</i>						
<b>აქტივები</b>						
ფულადი სახსრები და მათი						
ექვივალენტები	321,518	34,229	-	-	-	355,747
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	36,327	11,443	-	-	-	47,770
სესხები და ავანსები კლიენტებისადმი	170,657	129,500	320,219	563,698	103,969	1,288,043
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	4,729	4,729
დაფარვამდე დაკავებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	21,150	-	56	-	-	21,206
ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანებები	936	1,832	7,647	13,351	-	23,766
სხვა ფინანსური აქტივები	4,284	-	-	-	-	4,284
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>554,872</b>	<b>177,004</b>	<b>327,922</b>	<b>577,049</b>	<b>108,698</b>	<b>1,745,545</b>
<b>ვალდებულებები</b>						
სხვა ბანკების სახსრები	29,510	-	-	-	-	29,510
კლიენტთა სახსრები	519,077	91,918	196,917	34,767	2,143	844,822
სხვა სასესხო სახსრები	66,033	405,735	119,975	66,349	50,351	708,443
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,004	-	-	-	-	3,004
სუბორდინირებული დავალიანება	2,471	73,348	-	-	-	75,819
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>620,095</b>	<b>571,001</b>	<b>316,892</b>	<b>101,116</b>	<b>52,494</b>	<b>1,661,598</b>
<b>ლიკვიდურობის წმინდა წყვეტილი 2008 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>(65,223)</b>	<b>(393,997)</b>	<b>11,030</b>	<b>475,933</b>	<b>56,204</b>	<b>83,947</b>
<b>ლიკვიდურობის კრებსითი წყვეტილი 2008 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>(65,223)</b>	<b>(459,220)</b>	<b>(448,190)</b>	<b>27,743</b>	<b>83,948</b>	

აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან კონტროლირებადი შეუსაბამობა „ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობისათვის ატარებს არსებით ხასიათს. როგორც წესი ბანკებისათვის იშვიათია სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, ვინაიდან წარმოებული ოპერაციები ხშირ შემთხვევაში ხასიათდებიან გაურკვეველი ვადითა და განსხვავებული სახეობით. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შესაძლოა გამოიწვიოს ზარალის წარმოქმნის რისკები.

აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები და დაფარვის ვადის დადგომისას პროცენტით დატვირთული ვალდებულებების მისაღები ღირებულებით შეცვლის შესაძლებლობა წარმოადგენს „ჯგუფი“-ს ლიკვიდურობისა და პროცენტებისა და სავალუტო კურსების ცვლილებებისადმი მისი დაქვემდებარების დადგენის მნიშვნელოვან ფაქტორებს.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კლიენტების, „მოთხოვნამდე“ სტატუსის მქონე, სახსრების საგრძნობი წილის არსებობის მიუხედავად, ამგვარი ანაზრების დივერსიფიკაცია მეანაზრების რაოდენობისა და ტიპის შესაბამისად, ასევე წინამორბედი პერიოდების განმავლობაში „ჯგუფი“-ს მიერ მიღებული გამოცდილება მიუთითებს მასზე, რომ ადგილი აქვს კლიენტების აღნიშნული სახსრებით „ჯგუფი“-ს საქმიანობის დაფინანსების გრძელვადიანი და სტაბილური წყაროს ჩამოყალიბებას. ამასთანავე, „ჯგუფი“-ს ლიკვიდურობის რისკების მართვა მოიცავს მის მიმდინარე დეპოზიტებზე ფაქტიური დადგენილი დაფარვის ვადების შეფასებას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება სტატისტიკურ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება კლიენტების ანგარიშებზე ნაშთების ცვლილებების შესახებ არსებულ ინფორმაციას.

გარანტიებისა და აკრედიტივების საფუძველზე უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები ლიკვიდურობაზე გაცილებით მცირე ოდენობისაა, ვიდრე შესაბამისი ვალდებულებების თანხა, ვინაიდან „ჯგუფი“, როგორც წესი, არ ელოდება ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული სახსრების გამოთხოვას მესამე მხარეების მიერ. კრედიტის გაცემაზე ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი გადასახდელი თანხა ყოველთვის არ ასახავს ფულად სახსრებზე მომავალ მოთხოვნებს, რადგან აღნიშნული ვალდებულებებიდან მრავალი ვალდებულების მოქმედების ვადა ამოიწურება ან ის გაუქმებულ იქნება დაფინანსების განხორციელების გარეშე.

კაპიტალის მართვის პროცესში „ჯგუფი“ მიზნად ისახავს უზრუნველყოს (i) კაპიტალის მიმართ „ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო“-ს მიერ დადგენილი მოთხოვნებისადმი შესაბამისობა, (ii) მოქმედი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელებისათვის „ჯგუფი“-ს შესაძლებლობის შენარჩუნება. „ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო“-ს მიერ დადგენილი, კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტებისადმი შესაბამისობის მონიტორინგი წარმოებს ყოველთვიურად, ანგარიშების წარდგენით, სადაც აისახება მათი გაანგარიშებითი მონაცემები, რომლებსაც განიხილავს და ხელს აწერს „ბანკი“-ს გენერალური დირექტორი და მთავარი ბუღალტერი.

„ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო“-ს მიერ დადგენილი, კაპიტალის მიმართ მიმდინარე მოქმედი მოთხოვნების საფუძველზე ბანკები ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ კაპიტალის და, რისკის გათვალისწინებით შეწონილი აქტივების ფარდობა („საწესდებო კაპიტალის ფარდობა“) განსაზღვრულ მინიმალურ მნიშვნელობაზე მეტი ოდენობით. ნორმატიული კაპიტალი წარმოდგენილია საქართველოს საბუღალტრო სტანდარტების თანახმად მომზადებული, „ბანკი“-ს ანგარიშების საფუძველზე, და მოიცავს:

<i>ათას ლარებში</i>	<b>2008</b>	<b>2007</b>
სააქციო კაპიტალი	148,097	148,097
გაუნაწილებელი მოგება	61,544	124,564
სასესხო ზარალზე საერთო რეზერვები (რისკის - შეწონილი აქტივების 1.25%-მდე )	18,915	21,942
არამატერიალური აქტივების გარეშე	(4,398)	(1,842)
შვილობილ კომპანიებში ინვესტიციებისა და სხვა ბანკების კაპიტალის გარეშე	(19,920)	(6,232)
სუბორდინირებული დავალიანება	56,011	46,793
<b>სულ ნორმატიული კაპიტალი</b>	<b>260,259</b>	<b>333,322</b>

„ჯგუფი“ და „ბანკი“ ასევე ექვემდებარებიან მინიმალური კაპიტალის მიმართებით მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია სესხის ხელშეკრულებებში განსაზღვრული შეთანხმებებით, მათ შორის კაპიტალის საკმარისობის დონეებს, რომლებიც დადგენილია ბაზელის შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად, როგორც ეს აღნიშნულია „კაპიტალის პარამეტრებისა და ნორმატივების საერთაშორისო კონვენცენცია“-სა (1998 წლის აპრილის თვის რედაქცია) და „საკუთარი კაპიტალის ნორმის შესახებ საბაზრო რისკების თაობაზე ცვლილება“-ში (2005 წლის ნოემბრის თვის რედაქცია), რომელიც ცნობილია „ბაზელ 1“-ის სახელწოდებით. „ჯგუფი“-ს კაპიტალში შემავალი, ბაზელის შეთანხმების თანახმად გაანგარიშებული კომპონენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარებში</i>	<b>2008</b>	<b>2007</b>
<b>1-ი რიგის კაპიტალი</b>		
სააქციო კაპიტალი	150,449	147,979
გაუნაწილებელი მოგება	90,627	128,569
გუდვილის გარეშე	(2,021)	(759)
მინორიტარული წილი	5,165	572
<b>სულ 1-ი რიგის კაპიტალი</b>	<b>241,076</b>	<b>276,362</b>
<b>2-ე რიგის კაპიტალი</b>		
გადაფასებაზე რეზერვები	31,625	35,384
სუბორდინირებული დავალიანება	58,482	48,559
<b>სულ 2-ე რიგის კაპიტალი</b>	<b>90,107</b>	<b>83,944</b>
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>331,183</b>	<b>360,306</b>

„ბანკმა“ ვერ დააკმაყოფილა კაპიტალთან მიმართებით ყველა, გარე მხრიდან დაკისრებული მოთხოვნა 2008 წლის განმავლობაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა სახის სანქციების, მათ შორის და არა მარტო, ფულადი ჯარიმების, დივიდენდების განაწილებაზე შეზღუდვების დაკისრება და საბანკო ლიცენზიების გაძახება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „ფინანსური ანგარიშგების სააგენტო“-ს მხრიდან არ იქნება გამოყენებული მკაცრი ზომები და „ბანკი“ შეძლებს „ფინანსური ანგარიშგების სააგენტო“-ს მხრიდან საჭირო შეღავათების მოპოვებას. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ, მისი აქციონერებისგან ჯგუფმა მიიღო დამატებითი დაფინანსება, კაპიტალური ანარიცხების სახით. იხილეთ 39-ე შენიშვნა.

### 33 პირობითი ვალდებულებები

**სასამართლო დავები.** დროდადრო და საქმიანობის წარმოების მსვლელობისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს „ჯგუფი“-ს წინააღმდეგ აღძრულ სარჩელებს. საკუთარი შეფასებებისა და, როგორც შიდა, ასევე გარე წყაროებიდან მიღებული პროფესიონალური კონსულტაციების საფუძველზე, “ხელმძღვანელობა” მიიჩნევს, რომ სარჩელებთან დაკავშირებით არ არის მოსალოდნელი რაიმე მნიშვნელოვანი ზარალის წარმოქმნის შესაძლებლობა, და, შესაბამისად, აღნიშნულთან მიმართებით წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის რეზერვი.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** ადგილი აქვს საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვან განმარტებებს და ხშირ ცვლილებებს. „ხელმძღვანელობის“ მიერ მათი განმარტებები, რომლებიც გამოიყენება „ჯგუფი“-ს ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით, შესაძლებელია ეჭვქვეშ დაყენებულ იქნას შესაბამისი სამსახურების მხრიდან. საქართველოს საგადასახადო სამსახურებს შესაძლოა გააჩნდეთ უფრო მკაცრი პოზიცია კანონმდებლობისა და შესაბამისი შეფასებების განმარტებებისას, და შესაძლებელია, რომ ის ოპერაციები და საქმიანობა, რომელიც წარსულში არ იქნა გასაჩივრებული, გასაჩივრებულ იქნას მათ მხრიდან.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ინსტრუქციებს. დროდადრო, „ჯგუფი“ იყენებს ისეთი სახის გაურკვეველი სფეროების განმარტებებს, რომლებიც ამცირებენ „ჯგუფი“-ს საერთო საგადასახადო განაკვეთს. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ამგვარი საგადასახადო სტატუსები შესაძლოა მოექცენ მკაცრი შემოწმების ფარგლებში, რაც შესაძლებელია გამოწვევულ იქნას ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკის არსებული ცვლილებებით; საგადასახადო სამსახურების მხრიდან ნებისმიერი ამგვარი გასაჩივრების ზეგავლენა შეუძლებელია შეფასებულ იქნას სარწმუნო სახით, თუმცა, აღნიშნული შესაძლოა მნიშვნელოვანი გახდეს სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობასა და/ან მთლიან ოპერაციებთან მიმართებით.

**საოპერაციო იჯარის ვალდებულებები.** იმ შემთხვევაში, როდესაც „ჯგუფი“ წარმოადგენს მოიჯარეს, არაანულირებადი იჯარებით გათვალისწინებული მომავალი მინიმალური იჯარის გადასახადები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარებში</i>	<b>2008</b>	<b>2007</b>
1 წლამდე ვადით	23	56
1-დან 5 წლამდე ვადით	972	519
5 წელზე მეტი ვადით	481	354
<b>სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულებები</b>	<b>1,476</b>	<b>929</b>

**სახელშეკრულებო პირობების დაცვა.** „ჯგუფი“ ექვემდებარება გარკვეული შეთანხმებების პირობების მოქმედებას, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სესხებთან. ამგვარი შეთანხმებების პირობების შეუსრულებლობამ „ჯგუფი“-სათვის შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები, მათ შორის სესხების

ღირებულების ზრდა და გადაუხდელობის შესახებ გამოცხადება. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ადგილი ჰქონდა „ჯგუფი“-ს მიერ აღნიშნული შეთანხმებებისადმი შეუსაბამობას. „ბანკი“-ს მიერ საკრედიტო დაწესებულებებისაგან მოპოვებულ იქნა მოთხოვნაზე უარები, რის საფუძველზეც ეს დაწესებულებები დროებით აურს აცხადებდნენ დარღვეული შეთანხმებების პირობების შესრულებისათვის საჭირო აღმსრულებითი ზომების გამოყენებაზე. „ხელმძღვანელობა“ მიიჩნევს, რომ შეთანხმებების ამგვარი შეუსრულობები არ იქონიებენ უარყოფით ზეგავლენას „ბანკი“-ს ლიკვიდურობის მდგომარეობაზე. თუმცა, ვინაიდან მოთხოვნაზე აღნიშნული უარები მოპოვებულ იქნა თორმეტ თვეზე ნაკლები ვადით, „ბასს 1“-ს შესაბამისად (რედაქტირებული ვერსია) „ბანკი“-ს მიერ 253,484 000 ლარის ოდენობის ბანკების სახსრები და სუბორდინირებული დაგალიანების ნაშთი გადაყვანილ იქნა ლიკვიდურობის ანალიზის მოთხოვნის კატეგორიაში, დათარიღებული 2008 წლის 31 დეკემბრით. იხილეთ მე-21, 22-ე, 31-ე და 39-ე განმარტებითი შენიშვნა.

**საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები.** წინამდებარე ინსტრუმენტების ძირითად მიზანს წარმოადგენს კლიენტისადმი საჭიროებისამებრ სახსრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. გარანტიებსა და აკრედიტივებს, რომლებიც წარმოადგენენ გამოუთხოვად უზრუნველყოფას მასზედ, რომ „ჯგუფი“-ს მიერ განხორციელებულ იქნება გადახდები კლიენტის მხრიდან მესამე მხარეების მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გააჩნიათ იგივე საკრედიტო რისკები, როგორც სესხებს. დოკუმენტალური და სავაჭრო აკრედიტივები, რომლებიც წარმოადგენენ კლიენტის სახელით „ჯგუფი“-ს ვალდებულებებს, რომლითაც მესამე მხარეს ენიჭება უფლება გასცეს „ჯგუფზე“ გადაცემადი თამასუქი გარკვეული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით განსაზღვრული თანხის ოდენობით, უზრუნველყოფილი არიან საქონლის შესაბამისი პარტიებით ან ნაღდი სახით შენატანებით, და, შესაბამისად, გააჩნიათ უფრო მცირე რისკები, ვიდრე პირდაპირ სესხს.

კრედიტის გაცემაზე ვალდებულებები მოიცავენ იმ თანხების გამოყენებელ ნაწილს, რომლებიც დამტკიცებულია სესხების, გარანტიებისა თუ აკრედიტივების სახით კრედიტის გასაცემად. კრედიტის გაცემაზე ვალდებულებებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკებთან მიმართებით, „ჯგუფი“ პოტენციურად ექვემდებარება გამოყენებელი ვალდებულებების თანხების ოდენობის მოსალოდნელი ზარალის წარმოქმნის საშიშროებას. მიუხედავად ამისა, სავარაუდო ზარალის თანხა გამოყენებელი ვალდებულებების მთლიან თანხაზე ნაკლებია, ვინაიდან კრედიტის გაცემაზე ვალდებულებათა უმეტესი ნაწილი დამოკიდებულია კლიენტების მიერ კრედიტუნარიანობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. „ჯგუფი“ აწარმოებს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების დაფარვის ვადების შემოწმებას, ვინაიდან გრძელვადიანი ვალდებულებები, როგორც წესი, ხასიათდება გაცილებით დიდი საკრედიტო რისკებით, ვიდრე მოკლევადიანი ვალდებულებები.

საკრედიტო ხასიათის დაუფარავი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათას ლარებში	შენიშვნა	2008	2007
გაცემული გარანტიები		165,789	214,219
გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები		89,102	135,150
აკრედიტივები		18,622	28,047
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებზე რეზერვის გარეშე	19	(3,633)	(1,098)
<b>სულ საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები</b>		<b>269,189</b>	<b>376,318</b>

გამოუყენებელი საკრედიტო ხაზების, აკრედიტივებისა და გარანტიების მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო თანხები ყოველთვის არ მოიცავს ნაღდ სახსრებში მომავალ მოთხოვნებს, ვინაიდან აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების მოქმედების ვადა შესაძლოა ამოიწუროს ან შეწყდეს დაფინანსების განხორციელებამდე. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რეალური ღირებულება შეადგენდა 269,880 000 ლარს (2007: 376,318 000 ლარი) საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები წარმოდგენილია ვალუტებში შემდეგი სახით:

ათას ლარებში	შენიშვნა	2008	2007
ქართული ლარი		66,807	155,422
აშშ დოლარი		188,323	180,800
ევრო		18,383	41,142
სხვა			52
<b>სულ</b>		<b>273,513</b>	<b>377,416</b>

### 34 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

„ჯგუფი“-ს მიერ გაფორმებული სავალუტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობა, როგორც წესი, წარმოებს უცხოურ ბაზრებზე პროფესიონალურ საბაზრო კონტრაგენტებთან, სისტემატიზირებული ვადებისა და პირობების საფუძველზე. წარმოებული ინსტრუმენტები ხასიათდებიან პოტენციურად ხელსაყრელი (აქტივები) ან არახელსაყრელი (ვალდებულები) პირობებით, რაც გამოწვეულია, მათ პირობებთან დაკავშირებული, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსებისა თუ სხვა ცვალებადი მაჩვენებლების ცვლილებებით. დროდადრო ადგილი აქვს წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საერთო რეალური ღირებულებების ცვალებადობას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია „ჯგუფი“-ს მიერ გაფორმებული, უცხოურ ვალუტაში ფორვარდული კონტრაქტების საფუძველზე მისაღები ან გადასახდელი ვალუტების რეალური ღირებულებები, ბალანსის დღისათვის არსებული მდგომარეობით. აღნიშნულ ცხრილში წარმოდგენილია მთლიანი პოზიციები კონტრაგენტების პოზიციების გაქვითვამდე (და გადახდებამდე), და მოიცავს კონტრაქტებს, რომელთა ანგარიშსწორების თარიღების დადგომის ვადას ადგილი აქვს შესაბამისი ბალანსის დღის შემგედ. აღნიშნული კონტრაქტები ხასიათდებიან მოკლევადიანობით.

	2007		2006	
	კონტრაქტები დადებითი რეალური ღირებულები	კონტრაქტები უარყოფითი რეალური ღირებულები	კონტრაქტები დადებითი რეალური ღირებულები	კონტრაქტები უარყოფითი რეალური ღირებულები
ათას ლარებში	თ	თ	თ	თ
<b>ფორვარდული კონტრაქტები უცხოურ ვალუტაში: რეალური ღირებულებები, ბალანსის დღისათვის</b>				
- აშშ დოლარი მისაღები ანგარიშსწორებისას (+)	-	-	-	-
- აშშ დოლარი გადასახდელი ანგარიშსწორებისას (-)	-	(6,688)	-	(31,384)
- ევრო მისაღები ანგარიშსწორებისას (+)	-	-	30,310	-
- ევრო გადასახდელი ანგარიშსწორებისას (-)	-	(709)	-	-
- ლარი მისაღები ანგარიშსწორებისას (+)	7,274	-	982	-
- ლარი გადასახდელი ანგარიშსწორებისას (-)	-	-	-	-
<b>უცხოურ ვალუტაში ფორვარდული კონტრაქტების წმინდა რეალური ღირებულება</b>	<b>7,274</b>	<b>(7,397)</b>	<b>31,292</b>	<b>(31,384)</b>



### 35 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2008		2007	
	რეალური ღირებულე ბა	საბალანსო ღირებულე ბა	რეალური ღირებულე ბა	საბალანსო ღირებულე ბა
<i>ათას ლარებში</i>				
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	355,746	355,746	169,240	169,240
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	47,770	47,770	95,587	95,587
სესხები და ავანსები კლიენტებისადმი:				
- კორპორაციული სესხები	976,980	994,990	879,278	879,278
- სამომხმარებლო სესხები	257,853	258,585	126,338	126,338
- იპოთეკური სესხები	170,323	194,029	138,615	138,615
- მცირე და მიკრო სესხები	7,123	7,912	23,865	23,873
დაფარვამდე დაკავებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	21,207	21,207	114,596	114,596
სხვა ფინანსური აქტივები	4,284	4,284	18,671	18,671
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>1,841,286</b>	<b>1,884,523</b>	<b>1,566,190</b>	<b>1,566,198</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	29,510	29,510	92,356	92,356
კლიენტთა სახსრები	844,822	844,822	779,539	779,539
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,004	3,004	3,962	3,962
სხვა სასესხო სახსრები	708,443	708,443	433,042	433,042
სუბორდინირებული დავალიანება	75,819	75,819	55,881	55,881
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,661,598</b>	<b>1,661,598</b>	<b>1,364,780</b>	<b>1,364,780</b>

რეალური ღირებულებების დადგენა წარმოებს „ხელმძღვანელობის“ მიერ შეფასების მეთოდით, სადაც გამოიყენება ბაზრებზე შემოწმებადი მონაცემები, გარდა „VISA“-სთან მიმართებით, რომელზედაც გამოყენებულ იქნა კოტირებული საბაზრო ფასები.

რეალური ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომლითაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა გათვითცნობიერებულ, მსურველ მხარეებს შორის მიმდინარე გარიგებისას, იძულებითი გაყიდვის ან ლიკვიდაციის გარდა, და რომელიც დასტურდება აქტიური კოტირებული საბაზრო ფასით. საბაზრო ფასების ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში, „ჯგუფი“ იყენებს შეფასების მეთოდებს. შეფასების გარკვეულ მეთოდებთან მიმართებით აუცილებელი იყო დაშვებები, რომლებიც არ დასტურდებოდნენ შემოწმებადი საბაზრო მონაცემებით. ჯეროვანი ალტერნატივით რომელიმე ამგვარი დაშვების ცვლილების შემთხვევაში ნაკლებად

მოსალოდნელია მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებსა თუ ვალდებულებებში მნიშვნელოვანი სხვაობის წარმოქმნა.

გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება არ იქნა წარმოდგენილი, დადასტურებით მისი დადგენის შეუძლებლობის გამო. ამგვარი ინვესტიციები წარმოდგენილ იქნა თვითღირებულებით, იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

ცვალებადი განაკვეთის მქონე, აქტიურ ბაზარზე არაკოტირებული ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა საბალანსო ღირებულების თანაბარი ოდენობის მქონეს სახით. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა დადგენილი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც სავარაუდოდ მიღებულ იქნებიან მაგვარი საკრედიტო რისკებისა და დაფარვის შენარჩუნებული ვადების მქონე ახალ ფინანსურ ინსტრუმენტებზე მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტის გათვალისწინებით.

დისკონტის გამოყენებული განაკვეთები დამოკიდებულია შესაბამისი ინსტრუმენტის ვალუტასა და დაფარვის ვადაზე და შესაბამისი კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე, და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2008	2007
<b>მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ</b>	4%	10%
<i>სესხები და ავანსები კლიენტებისადმი</i>		
კორპორაციული სესხები	20%	17%
სამომხმარებლო სესხები	29%	22%
იპოთეკური სესხები	21%	16%
მცირე და მიკრო სესხები	24%	21%
<b>ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ</b>		
- სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები და ოვერნაით დეპოზიტები	5%	5%
- ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებების ვადიანი დეპოზიტები	9%	8%
<b>კლიენტთა სახსრები</b>		
იურიდიულ პირთა მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	2%	2%
იურიდიულ პირთა ვადიანი დეპოზიტები	12%	10%
- ფიზიკური პირების მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები	5%	4%
ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები	11%	10%
<b>სხვა სასესხო სახსრები</b>		
- ბანკებსა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებში სესხები – აშშ დოლარი	8%	9%
- ბანკებსა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებში სესხები - ლარი	14%	14%
<b>სუბორდინირებული დავალიანება</b>	10%	11%

### 36 ეფასებითი კატეგორიებით ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა

შეფასების განხორციელების მიზნით, „ბასს 39“-ში, *ფინანსური ინსტრუმენტები, აღიარება და შეფასება*, ფინანსური აქტივები წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიებით: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანებები, (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, (გ) დაფარვამდე დაკავებული ფინანსური აქტივები, და (დ) მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები წარმოდგენილია ორი ქვეკატეგორიით: (i) თავდაპირველი აღიარებისას წინამდებარე კატეგორიისადმი მიკუთვნებული აქტივები, და (ii) სავაჭროდ განკუთვნილის სახით კლასიფიცირებული აქტივები. შემდგომ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების კლასების შეჯერება.

	სესხები და დებიტორულ ი დავალიანებებ ი	გასაყიდად არსებული აქტივები	სავაჭრო აქტივები	დაფარვამ დე დაკავებუ ლი	სულ
<i>ათას ლარებში</i>					
<b>აქტივები</b>					
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები			-	-	355,746
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	47,770	-	-	-	47,770
სესხები და ავანსები კლიენტებისადმი	1,305,483	-	-	-	1,305,483
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	4,729	-	-	4,729
დაფარვამდე დაკავებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	21,207	21,207
იჯარაში ინვესტიციები	23,766	-	-	-	23,766
სხვა ფინანსური აქტივები: - სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანება	3,334	-	-	-	3,334
- კორპორაციული აქციები	-	-	135	-	135
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>1,380,353</b>	<b>4,729</b>	<b>135</b>	<b>21,207</b>	<b>1,762,170</b>
<b>არაფინანსური აქტივები</b>	-	-	-	-	<b>189,578</b>
<b>სულ აქტივები</b>	-	-	-	-	<b>1,951,748</b>

„ჯგუფი“-ს ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა წარმოებულლებთან მიმართებით, წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით. წარმოებულები მიეკუთვნებიან შეფასების კატეგორიას “მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული“.

### 37 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

მხარეები, როგორც წესი, განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღებისას. დაკავშირებულ მხარეებს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარეების დაუფარავი ნაშთები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მნიშვნელოვანი მეწილეები	წამყვანი ხელმძღვანელი პირები	ასოცირებული პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
<i>ათას ლარებში</i>				
კლიენტებისადმი სესხებისა და ავანსების მთლიანი თანხა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი: 13 – 36 %-ი)	54,301	1,696		
კლიენტებისადმი სესხებისა და ავანსების გაუფასურებაზე რეზერვები 31 დეკემბრის მდგომარეობით	(29,585)	(52)		
ბანკებიდან და საკრედიტო დაწესებულებებიდან სესხები და ავანსები	469			
კლიენტთა სახსრები (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი: 0 – 15%-ი)	2,894	1,801	4,551	147
სუბორდინირებული დავალიანება (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი: 8 – 11%-ი)	41,672			

მნიშვნელოვანი მეწილეებისადმი სესხები რესტრუქტურირებულ იქნა 2008 წლის ნოემბერში დამატებითი თორმეტი თვით, 13-36 %-ს ოდენობის საპროცენტო განაკვეთით.

დაკავშირებული მხარეების 2008 წლის განმავლობაში არსებული შემოსავლისა და ხარჯების მუხლები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მნიშვნელოვანი მეწილეები	წამყვანი ხელმძღვანელი პირები	ასოცირებული პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
<i>ათას ლარებში</i>				
საპროცენტო შემოსავალი	4,167	209	2	2
საპროცენტო ხარჯი	3,625	90	209	1
რეზერვი საკრედიტო პორტფელის გაუფასურებაზე უცხოურ ვალუტასთან სავაჭრო ოპერაციებიდან	29,530	24	0	(8)
შემოსავლები ხარჯების გამოკლებით	38	(19)	0	0
საგასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი	18	7	19	7
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	1,952	3,256	0	103

დაკავშირებული მხარეების უფლებები და ვალდებულებები 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარებში</i>	მნიშვნელოვანი მეწილეები	წამყვანი ხელმძღვანელი პირები	ასოცირებული პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
„ჯგუფი“-ს მიერ გაცემული გარანტიები წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით	-	-	233	267
სხვა ვალდებულებები	160	43	-	-

2008 წლის განმავლობაში დაკავშირებული მხარეებისადმი სესხის სახით გაცემული და მათ მიერ დაფარული თანხები:

<i>ათას ლარებში</i>	მნიშვნელოვანი მეწილეები	წამყვანი ხელმძღვანელი პირები	ასოცირებული პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დაკავშირებული მხარეებისადმი სესხით სახით გაცემული თანხები	67,437	902	1,500	-
აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დაკავშირებული მხარეების მიერ დაფარული თანხები	15,205	253	1,500	298

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარეების დაუფარავი ნაშთები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარებში</i>	მნიშვნელოვანი მეწილეები	წამყვანი ხელმძღვანელი პირები	ასოცირებული პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
კლიენტებისადმი სესხებისა და ავანსების მთლიანი თანხა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი: 12 – 24 %-ი)	2,069	1,047	-	298
კლიენტებისადმი სესხებისა და ავანსების გაუფასურებაზე რეზერვები 31 დეკემბრის მდგომარეობით	(55)	(28)	-	(8)
ბანკებიდან და საკრედიტო დაწესებულებებიდან სესხები და ავანსები	1,343	-	-	-
კლიენტთა სახსრები (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი: 0 – 15%-ი)	2,883	698	2,204	79
სუბორდინირებული დავალიანება (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი: 9 – 11.5%-ი)	23,268	-	-	-

დაკავშირებული მხარეების 2007 წლის განმავლობაში არსებული შემოსავლისა და ხარჯების მუხლები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარებში</i>	მნიშვნელოვანი მეწილეები	წამყვანი ხელმძღვანელ ი პირები	ასოცირებუ ლი პირები	სხვა დაკავშირ ებული მხარეები
საპროცენტო შემოსავალი	183	107	12	683
საპროცენტო ხარჯი	2,970	46	154	17
რეზერვი საკრედიტო პორტფელის გაუფასურებაზე	8	14	(1)	(2)
საგასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი	17	6	16	18
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1	-	-	53
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	1,522	1,971	-	41

დაკავშირებული მხარეების უფლებები და ვალდებულებები 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარებში</i>	მნიშვნელოვანი მეწილეები	წამყვანი ხელმძღვანელ ი პირები	ასოცირებუ ლი პირები	სხვა დაკავშირ ებული მხარეები
„ჯგუფი“-ს მიერ გაცემული გარანტიები წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით	-	-	130	255
სხვა ვალდებულებები	119	122	-	1

2007 წლის განმავლობაში დაკავშირებული მხარეებისადმი სესხის სახით გაცემული და მათ მიერ დაფარული თანხები:

<i>ათას ლარებში</i>	მნიშვნელოვანი მეწილეები	წამყვანი ხელმძღვანელი პირები	ასოცირებუ ლი პირები	სხვა დაკავშირ ებული მხარეები
აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დაკავშირებული მხარეებისადმი სესხით სახით გაცემული თანხები	1,181	742	-	298
აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დაკავშირებული მხარეების მიერ დაფარული თანხები	735	63	66	423

წამყვანი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარებში</i>	2008		2007	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულე ბა	ხარჯი	დარიცხული ვალდებულე ბა
ხელფასები	3,186	-	2,195	2,294
წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურება	617	-	4,116	-
<b>სულ</b>	<b>3,803</b>	<b>0</b>	<b>6,311</b>	<b>2,294</b>

### 38 ბიზნეს გაერთიანებები

2008 წლის 31 მარტს „ჯგუფმა“ შეიძინა შპს „თიბისი კრედიტ“-ის საწესდებო კაპიტალის 75%-ი. შეძენის დღიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე „ჯგუფმა“ აღნიშნული შეძენილი შვილობილი კომპანიის მხრიდან მიიღო 5,455 000 ლარის ოდენობის შემოსავალი და 95 000 ლარის ოდენობის მოგება.

„ჯგუფი“-ს მიერ გადახდილი ანაზღაურება დაფუძნებული იყო შესაძენი სუბიექტის მთლიანად აღებული საქმიანობის შეფასების შედეგებზე. მიუხედავად ამისა, „ფასს 3“-ის („საწარმოების გაერთიანება“) თანახმად, „ჯგუფმა“ შეძენებთან მიმართებით უნდა წარმოადგინოს ანგარიში შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების რეალური ღირებულებების გათვალისწინებით. აღნიშნული ორი მეთოდის საფუძველზე შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს განსხვავებებს, და, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოასახულ ცხრილში, გუდვილის აღიარებას.

შეძენილი აქტივებისა და ვალდებულებების და წარმოქმნილი გუდვილის შესახებ დაწვრილებითი მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარებში</i>	შენიშვნა „ფასს“-ის თანახმად განსაზღვრული საბალანსო ღირებულება უშუალოდ საწარმოების გაერთიანებამდე	გამოყენებული რეალური ღირებულება
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12,321	12,321
საკრედიტო პორტფელი	16,768	16,768
სხვა აქტივები	561	561
საკრედიტო დაწესებულებებისადმი გადასახდელი თანხები	(14,876)	(14,876)
სხვა ვალდებულებები	(18)	(18)
<b>შვილობილი კომპანიის წმინდა აქტივების რეალური ღირებულება</b>		<b>14,756</b>
მინორიტარული წილის გარეშე		(3,689)
<b>შვილობილი კომპანიის წმინდა აქტივებში შეძენილი წილის რეალური ღირებულება</b>		<b>11,067</b>
შეძენის საფუძველზე წარმოქმნილი გუდვილი	12	1,262
<b>სულ შეძენაზე ანაზღაურება</b>		<b>12,329</b>
შეძენილი შვილობილი კომპანიის ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გარეშე		12,321
<b>შეძენისას ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გადინება</b>		<b>8</b>

გუდვილი, როგორც წესი, გამოიყენება შეძენილი საქმიანობის მომგებიანობასთან, მნიშვნელოვან სინერგიებთან და თვითღირებულების მოსალოდნელ კომბინირებულ შემცირებებთან მიმართებით.

შეძენაზე გადახდილი ანაზღაურება წარმოდგენილია 12, 329 ლარის ოდენობის ფულადი სახსრებითა და მათი ექვივალენტებით.

### 39 ბალანსის დღის შემდგომი მოვლენები

**სესხების დაფარვა.** მიმდინარე წელს, ჯგუფმა დაფარა 339,186 000 ლარის ოდენობის თანხა, რომლის 150,030 ლარი გადაეხადა ეთგო-ს კრედიტორს ორი ტრანშით (2009 წლის თებერვალი და მარტი), ადრეული დაფარვისათვის 7,229 000 ლარის დისკონტირებით.

სფდ-ს პორტფელური დაფინანსება. 2009 წლის 14 აპრილს, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებიდან, ეგრბ-დან, FMO-დან, და DEG-დან მიიღო თანხმობა, დაახლოებით 230,000 ათასი ლარის ოდენობის დაფინანსების გრძელვადიანი პაკეტის გამოყოფაზე 2009 წლის აპრილი-მაისის თვეებში, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტებით:

სააქციო კაპიტალში შენატანი:	66,000 000 ლარი;
სუბორდინირებული სესხები:	73,348 000 ლარი, 5 წელზე მეტი ოდენობის დაფარვის ვადით;
პირველრიგითი საკრედიტო ხაზი:	88,581 000 ლარი, 5 წელზე მეტი ოდენობის დაფარვის ვადით.

2009 წლის 8 მაისის მდგომარეობით, მოკლევადიანი ლიკვიდურობის მოთხოვნის დასაფარავად, ჯგუფმა სააქციო კაპიტალიდან მიიღო 53,868 000 ლარის ოდენობის ანარიცხი და სუბორდინირებული სესხიდან კი 73,348 000 ლარი.

დაფინანსების ზემოაღნიშნული პორტფელი მოიცავს ახალ ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ახალ ფინანსურ შეთანხმებებს, რომლებიც ანაცვლებენ ადრე დარღვეულ ფინანსურ შეთანხმებებს. 2009 წლის 1 მაისს ბანკმა მიიღო ახალი ფინანსური შეთანხმება და შესაბამისად მოახდინა 187,360 000 ლარის ოდენობის გრძელვადიანი სესხების ხელახალი კლასიფიცირება მიმდინარე კატეგორიიდან, არამიმდინარე კატეგორიაში, გარიგებით განსაზღვრული, დაფარვის მათი დავდაპირველი ვადების შესაბამისად. იხილეთ 21-ე და 22-ე შენიშვნები.